

186  
1985

Handwritten signature  
საქართველოს  
საბჭოთავო  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
აკადემია



# საქართველოს სსრ მთავრობის დარგენილებათა კრებუდი :

№ 3

მანის-მანისი

1985 წ.



# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი—ივნისი

1985 წ.

## შ ი ნ ა რ ს ი

### საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

21. საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო დაზღვევის შემდგომი განვითარებისა და სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მუშაობის ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ
22. სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 დეკემბრის № 1287 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
23. რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელშეწყობის კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის შესახებ

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

24. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოყენაზე რესპუბლიკური საპატიო დაფის შექმნის შესახებ

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

25. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 18 მარტის № 241 დადგენილების შესახებ.
26. კურორტ ბაკურიანის მართვის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 24 დეკემბრის № 629 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ.
28. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გაზის ქსელების დაცვის წესების შესახებ. ✓
29. სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის ვ. დ. ვუდიაშვილის ხსოვნის უკუდავყოფის შესახებ.
30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 დეკემბრის № 863 დადგენილებით დამტკიცებული რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენის განხილვისა და დამტკიცების წესისა და ვადების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
31. საცხოვრებელი სახლების სარდაფებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახად საკუენაობების მოწყობის შესახებ.
32. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურისა და დებულების დამტკიცების შესახებ.
33. რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
34. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.
35. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წესდებაში დამატების შეტანის შესახებ.
36. საპროექტო-სახარჯთადრიცხეო საქმის შემდგომი სრულყოფის და მშენებლობაში ექსპერტიზისა და საექტრო ზედამხედველობის როლის ამაღლების შესახებ.
37. „საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისათვის ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა უფასო საკონტროლო ეგზემპლარების დაგზავნის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 აგვისტოს № 677 დადგენილებით დამტკიცებული სიის დამატების თაობაზე.
38. წყალქვეშ სანადირო თოფების რეგისტრაციის, აღრიცხვისა და გამოყენების წესების დამტკიცების შესახებ.
39. საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველო  
 სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

21 საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო დაზღვევის შემ-  
 დგომი განვითარებისა და სახელმწიფო დაზღვევის ორგანო-  
 ბის მუშაობის ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარმა სამმართველომ შეიმუშაონ და განახორციელონ ერთობლივ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია, რომ:

-- განხორციელდეს „სახელმწიფო დაზღვევის შემდგომი განვითარებისა და დაზღვევის ორგანოების მუშაობის ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 აგვისტოს № 932 დადგენილებით განსაზღვრული ამოცანები და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1984 წლის 26 სექტემბრის კრების რეკომენდაციები „სახალხო მეურნეობაში საფინანსო-საკრედიტო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, საბიუჯეტო ურთიერთობისა და ფულის მიმოქცევის სრულყოფისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ამოცანების შესახებ“, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით და ითვალისწინებენ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და სიცოცხლის, სატრანსპორტო საშუალებათა და შინაურ ცხოველთა დაზღვევის ხაზით საშუალო-საკავშირო ღონისაგან ჩამორჩენის ლიკვიდაციას უმოკლეს ვადებში;

-- შეიქმნას დაზღვევის ადგილობრივი ორგანოების სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამ ორგანოების მუშაობის წარმართვისა და ყოფა-ცხოვრების ჯეროვანი პირობები, დამზღვევთა მომსახურების კულტურის მნიშვნელოვანი ამაღლების ორგანიზაციულ-მასობრივი და სარეკლამო მუშაობის გაუმ-

საქ. სსრ კ. მარქსის  
 სახ. სახ. რესპობ.



ჯობებს, სახელმწიფო დაზღვევის შემდგომი განვითარების, მისი როგორც ერთ-ერთი იმ დარგის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის გადიდების მიზნით, რომელიც ხელს უწყობს რეგიონისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ეკონომიკის განმტკიცებას, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას;

— განხორციელდეს შესაბამისი მუშაობა, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოთა კოლექტივებში პარტიული ფენის დონის ამაღლებას;

— შესრულდეს დაზღვევის გადასახდელთა შემოსვლის და რეგიონში სადაზღვეო საქმის განვითარების გეგმები, ამასთან სისტემატურად იქნეს მოსმენილი აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოების, სახელმწიფო დაზღვევის საქალაქო და რაიონული ინსპექციების უფროსთა ანგარიშები და მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

## 2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— გაუწიოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს საჭირო დახმარება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 აგვისტოს № 932 დადგენილებით და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1984 წლის 26 სექტემბრის კრების რეკომენდაციებით გათვალისწინებულ დავალებათა რეალიზაციის საქმეში;

— შეიმუშაოს და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერება მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებისა და ფორმების სრულყოფისათვის, ორგანიზაციულ-მასობრივი და სარეკლამო მუშაობის გაუმჯობესებისათვის ქვეყნის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოთა მოწინავე კოლექტივების შექმნილი გამოცდილების გამოყენებით, მათი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება სახელმწიფო დაზღვევის ყველა სახეობაში, საშუალო-საკავშირო მაჩვენებლების დონისაგან დაზღვევის ზემოაღნიშნულ ოთხ სახეობაში ჩამორჩენის ლიკვიდაცია;

— ხელი შეუწყოს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში, სადაზღვეო ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზებული სისტემის ფართოდ დანერგვაში;

— ჩაატაროს 1985 წლის ივნისში საფინანსო და დაზღვევის ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალიზაციის შესახებ.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობამ (ამხ. ბართიშვილი).

— გამოიჩინოს მეტი ინიციატივა, გააძლიეროს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაკთა მომთხოვნელობა: და პასუხისმგებლობა დაძაბულ საგეგმო დავალებათა მიღებისა და მათი უცილობლივ შესრულების, საშუალო-საკავშირო დონემდე დაზღვევის ცალკეულ სახეობებში მიღწეული დონის ამაღლების, კადრების, მათ შორის დაზღვევის აგენტთა და შემთავსებელ აგენტთა წერჩევის, განაწილებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში; უზრუნველყოს სახელმწიფო დაზღვევის მუშაკთა მიერ სადაზღვევო საზღაურის და პირადი დაზღვევის თანხების განსაზღვრის დასაბუთებულობის ამაღლება;

— იქონიოს საქმიანი კავშირთა იერიითობა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებთან, გაააქტიუროს სახელმწიფო დაზღვევის ხელშემწყობი საბჭოების მუშაობა საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უფრო ფართოდ ჩააბას ამ საქმეში წარმოების მოწინავენი, აქტივისტები საზოგადოებრივ საწყისებზე;

— სისტემის საქვეუწყებო ორგანოთა მუშაობის ყოველმხრივი ანალიზისა და დამატებით ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე მიადწინოს დაზღვევის ცალკეული ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და სიცოცხლის, ცხოველთა, სატრანსპორტო საშუალებათა ნებაყოფლობითი დაზღვევის და სხვა სახეობათა განვითარების ღონის არსებითად ამაღლებას;

— აამაღლოს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მუშაკთა შრომის ნაყოფიერება და მუშაობის ხარისხი შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმების, დაზღვევის შტატგარეშე აგენტთა შრომის ანაზღაურების ახალი განაკვეთების დანერგვის ხარჯზე;

— გააძლიეროს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა ქონების დასაზღვევად სადაზღვევო საზღაურის და პირადი დაზღვევის თანხების გაცემის გადიდების დროულად გამოვლენისა და აღკვეთის, სახელმწიფო სახსრების ღაცვა-შენარჩუნების, მათი სწორი და ეკონომიური ხარჯვის უზრუნველსაყოფად. რევიზიების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დაზღვევის შტატგარეშე აგენტთა, განსაკუთრებით შემთავსებელ აგენტთა საქმიანობას, მიიღოს გადაწყვეტი ზომები ყოველგვარი დარღვევებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად, ამასთან მჭიდრო კონტაქტები იქონაოს საკონტროლო სამსახურებთან აგენტის სამუშაო ადგილის მიხედვით.

განუწყვეტლივ სრულყოს სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციების საქმიანობის რევიზიის ფორმები და მეთოდები;

— გააუმჯობესოს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მუშაკთა შორის სააგრიკო-მასობრივი, აღმზრდელი და ახსნა-განმარტებითი საქმიანობა მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლების და სახელმწიფო დაზღვევის მნიშვნელობისა და უპირატესობათა ფართო პროპაგანდის გაშლის მიზნით;

— შეიმუშაოს სარეკლამო ღონისძიებათა სპეციალური პროგრამა იმ მიზნით, რომ მოსახლეობაში პროპაგანდა გაუწიოს სახელმწიფო დაზღვევის სამამულო და საზღვარგარეთული დადებითი გამოცდილების ფართო გამოყენებით, აქტიურად მიიზიდოს სარეკლამო მუშაობაში ტელევიზიის, რადიოს, კინოს, პრესის საშუალებანი;

— დააყენოს სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს წინაშე საკითხი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოსათვის გამოთვლითი ცენტრის მშენებლობის შესახებ;

-- ერთი თვის ვადაში მოამზადოს წინადადებანი ცხოველთა დაზღვევისათვის სადაზღვევო გადასახდელთა სატარიფო განაკვეთების ოდენობის დადგენილი წესით დაზუსტების შესახებ;

— გაააქტიუროს მუშაობა სახელმწიფო პირადი და ქონებრივი დაზღვევის შემდგომი განვითარების ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოსაძებნად, რომლებიც შეესაბამება მშრომელთა ინტერესებს, დაზღვეულთა მომსახურების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების, სახელმწიფო დაზღვევის, როგორც სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი განვითარებისა და რესპუბლიკის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველსაყოფად ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და ვადაწილების ეკონომიკური ინსტრუმენტის, უკეთ გამოყენების მიზნით.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1985 წელს სახელმწიფო დაზღვევის განვითარების საკავშირო ფონდიდან რესპუბლიკას გამოეყო 10 მილიონი მანეთი სეტყვასაწინააღმდეგო ღონისძიებათა განსახორციელებლად. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარმა სამმართველომ კონტროლი გაუწიოს აღნიშნული სახსრების ხარჯვას მიზნობრივი დანიშნულებით, ამასთან დააფინანსოს ეს ღონისძიებანი დავალების შესრულების კვალობაზე.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 აგვისტოს № 932 დადგენილების მოთხოვ-

ნების შესაბამისად გამოყოს 1986 წელს ლიმიტი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოსათვის გამოთვლითი ცენტრის დასაპროექტებლად და ასაშენებლად და, მოყოლებული 1986 წლიდან, ყოველწლიურად:

— გაითვალისწინოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გამოყოფა სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისათვის სადგომების ასაშენებლად. აგრეთვე საბინაო მშენებლობის განსახორციელებლად სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ფონდის და სახელმწიფო დაზღვევის სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ხარჯზე;

— გამოიყენოს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებისათვის სადგომების ასაშენებლად იმ კაპიტალურ დაბანდებათა ნაწილი, რაც გამოიყოფა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 აგვისტოს № 851 დადგენილების მე-8 პუნქტის შესაბამისად;

— უზრუნველყოს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, მათ შორის გადიდებული გამავლობის მსუბუქი ავტომობილებით.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გაითვალისწინონ ყოველწლიურად 1985 წლიდან ცალკე სტრიქონად საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოსათვის ინვენტარის, მოწყობილობის, ავეჯის, სარეკლამო სამუშაოებისათვის ცარცის ქალაღდის, ოფსეტური ბეჭდვისათვის საჭირო ქალაღდის და სხვა რესურსების ფონდების გამოყოფა.

7. საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა, დარგთაშორის ტერიტორიულ-საწარმოო გაერთიანებათა და რაიონული აგრო-სამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელებმა გააძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა რეგიონებში სადაზღვევო საქმის განსავითარებლად, მაქსიმალურად გამოიყენონ სახელმწიფო დაზღვევის შესაძლებლობანი ქალაქებისა და რაიონების ეკონომიკის განმტკიცებაში, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სახელმწიფო დაზღვევის ორგანოთა საქმიანობის შემდგომ გაფართოებას და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება.

8. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინოს 1985 წლისა და მომდევნო წლების გეგმებში საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოსათვის საჭირო რაოდენობის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა

სამარაგო ნაწილების გამოყოფა მათი შენახვის ლიმიტების ფარგლებში.

9. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს სახელმწიფო დაზღვევის საპირო ბლანკებისა და სარეკლამო მასალების დაბეჭდვა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს განაცხადების მიხედვით.

10. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენებანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააძლიერონ კონტროლი პირუტყვის დაავადებათა და გაწყდომის, ხანძრის წინააღმდეგ საბრძოლველად, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაღუპვისა და დაზიანების თავიდან ასაცილებლად დასახულ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დაფინანსებისათვის სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის გადასახდელებიდან დარიცხული სახსრების სრულად ათვისების, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებისადმი.

11. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხელი შეუწყოს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ნებაყოფლობითი დაზღვევის საქმეში.

12. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროკურატურამ მიიღონ შესაბამისი ზომები იმისათვის, რათა საქვეუწყებო ორგანოებმა დროულად გადასცენ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს სადაზღვევო საქმეთა განხილვისათვის საპირო დოკუმენტები.

13. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოებისათვის დახმარების გაწევა ნებაყოფლობით პირად და ქონებრივ დაზღვევაში მოსახლეობის მასობრივი მიზიდვის უზრუნველსაყოფად და სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებთან ერთად მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება სახელმწიფო დაზღვევის მნიშვნელობისა და უპირატესობათა შესახებ. შექმნას ყველა მსხვილ საწარმოსა და ორგანიზაციაში პროფკავშირული აქტივისაგან სახელმწიფო დაზღვევის ხელშემწყობი საბჭოები.

14. საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ უზრუნველყოს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებთან დადებული ხელშეკრუ-

ლებების მიხედვით თავისი საქვეუწყებო გამოთვლითი ცენტრების მიერ სადაზღვევო ინფორმაციის მიღება და დროულად დამუშავება.

15. თბილისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოუყოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს 1985 წელს 2000 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი გამოთვლითი ცენტრის ასაშენებლად.

16. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა, მასობრივი ინფორმაციის ყველა ორგანომ სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკაში სახელმწიფო დაზღვევის პრობლემები, მისი დიდი მნიშვნელობა, ყოველმხრივ გაუწიონ რეკლამა მოსახლეობაში ნებაყოფლობითი პირადი და ქონებრივი დაზღვევის ხზვადახვა სახეობას, ამასთან ნათლად უჩვენონ მისი სარგებლობა-უპირატესობანი.

17. დამტკიცდეს თანდართული ცვლილებანი, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების დებულებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 აგვისტოს № 932 და 1984 წლის 14 აგვისტოს № 873 დადგენილებების შესაბამისად.

18. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სახელმწიფო დაზღვევის შემდგომი განვითარების ღონისძევათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 აპრილის № 246 დადგენილების 1-10 პუნქტები.

19. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 აგვისტოს № 932 დადგენილებით შეტანილია შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 22 ნოემბრის № 681 დადგენილებით დავხანულ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 ოქტომბრის № 773 დადგენილებაში:

— 1-ლ პუნქტში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტთან“ შეიცვალა სიტყვებით: „სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან“;

— მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ დაადგინოს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების მიერ მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა იმ დავალებების შესრულების წესი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილების 1-ლი პუნქტით, და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით — საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ბუღალტერების იმ მუშაკთა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების წესი, რომლებიც დასაქმებული არიან ზემოაღნიშნულ დავალებათა შესრულებით“.

20. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დე-

პეტატი საბჭოებზე აღმავლობაში, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინო ინფორმაცია საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის პირველ კვარტალში.

საქართველოს კპ  
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი  
**ე. შეპარდნაძე**

საქართველოს სსრ  
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**დ. ქართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 7 მაისი, № 357



## დამტკიცებულია

საქართველოს კ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 7 მაისის № 357 დადგენილებით

## ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი,

რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების დებულებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 აგვისტოს № 932 და 1984 წლის 14 აგვისტოს № 873 დადგენილებების შესაბამისად

1. მე-4 პუნქტი საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 იანვრის № 76 დადგენილებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 752, 1969 წლის 26 სექტემბრის № 567, 1977 წლის 13 აპრილის № 246 და 1978 წლის 26 ივლისის № 481 დადგენილებების, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 5 მარტის № 253 განკარგულების შესაბამისად შეტანილი შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების ძირითადი ამოცანებია:

კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობაში, სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების სავალდებულო დაზღვევა, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევა;

მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევა, აგრეთვე პირადი დაზღვევა;

სადაზღვევო საზღაურის განსაზღვრა და მისი გაცემა დაზღვეული ქონების დაღუპვის, მოსპობის, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში;

პირადი დაზღვევის სადაზღვევო თანხების განსაზღვრა და გაცემა;

სახელმწიფო დაზღვევის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელება;

მონაწილეობა იმ ქონების დაღუპვისა და დაზიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებაში, რომელიც დაზღვევას ექვემდებარება“;

2. მე-10 პუნქტში:

ა) „გ“ ქვეპუნქტში სიტყვა: „შტატებს“ შეიცვალოს სიტყვებით: „საშტატო განრიგს“;

ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წინადადებებს იმ ქონების დაღუპვისა და დაზიანების თავიდან ასაცილებლად



სადაზღვევო გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც დაზღვევას ექვემდებარება, აგრეთვე წინადადებებს აღნიშნული სახსრების ხარჯვის წესის შესახებ. ეს სახსრები შეიტანება საქართველოს სსრ ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში და იხარჯება მხოლოდ ზემოაღნიშნული მიზნებისათვის.

ამ სახსრების ხარჯზე სადაზღვევო გადასახდელებისა და ხარჯებიდან გადაარიცხი სახსრების შემოსვლის აღრიცხვის, აგრეთვე მათი შენახვის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო“;

3. მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ავტონომიურა რესპუბლიკების ფინანსთა მინისტრები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საოლქო, რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული საფინანსო სამმართველოების (განყოფილებების) უფროსები (გამგებები) ახორციელებენ კონტროლს სახელმწიფო დაზღვევის შესაბამისი ორგანოების მიერ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის კანონმდებლობის, ყველა სახის დაზღვევის წესებისა და ინსტრუქციების დაცვისადმი, აგრეთვე სადაზღვევო გადასახდელთა შემოსვლის გეგმების შესრულებისა და სადაზღვევო საზღაურის და სადაზღვევო თანხების გაცემისადმი“;

4. მე-12 პუნქტში:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მმართველობის აპარატის მუშაკთა საშტატო განრიგების დამტკიცება დადგენილი წესით სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოებისა და ინსპექციებისათვის, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს, აგრეთვე, მისი საქვეუწყებო ორგანიზაციებისათვის“;

ბ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) კოლმეურნეობებისა და სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) ქონების დაზღვევის სარესპუბლიკათაშორისო სათადარიგო ფონდში და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ზორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების დაზღვევის სარესპუბლიკათაშორისო სათადარიგო ფონდებში გადარიცხვა სადაზღვევო გადასახდელთა 5,5-5,5 პროცენტისა და ამ სახის დაზღვევის ჭარბი შემოსავლის თანხების 50 პროცენტისა, რაც მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებში წარმოიქმნა წლის დამლევისათვის“;

გ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ცენტრალიზებულ ფონდში, მატერიალური წახალისების ცენტრალიზებულ ფონდში და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებულ ფონდში სახსრების ჩარიცხვა საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგა-

ნობის ზემოაღნიშნული ფონდების თანხების 10 პროცენტამდე ოდენობით“;

5. მე-13 პუნქტში:

ა) „ა“ ქვეპუნქტს სიტყვების: „სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „და საქვეუწყებო ორგანიზაციების“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) დადოს დადგენილ შემთხვევებში საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ხელშეკრულებანი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის გადიდებული საფრთხის მქონე სამუშაოებზე დასაქმებული მუშა-ქოსამსახურეების უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევის შესახებ“;

გ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ჩაატაროს სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოებისა და საქვეუწყებო ორგანიზაციების საქმიანობის რევიზია“;

დ) „ვ“ ქვეპუნქტს სიტყვების: „საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სხვა ორგანოებისათვის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „და საქვეუწყებო ორგანიზაციებისათვის“;

ე) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) დადგენილი წესით მიიღოს დასაბრუნებელი სესხები კოლმეურნეობებისა და სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) ქონების დაზღვევის სარესპუბლიკათაშორისო სათადარიგო ფონდებიდან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ზორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების დაზღვევის სარესპუბლიკათაშორისო სათადარიგო ფონდებიდან იმ წლებში, როცა საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების განკარგულებაში არსებული სახსრები საქმარისი არ აღმოჩნდება ზემოაღნიშნული სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სადაზღვევო საზღაურის მისაცემად“;

ვ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„თ) დადგენილი წესით მიიღოს სამუდამოდ სახსრები სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ცენტრალიზებული ფონდიდან, მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდიდან, როცა საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოთა მუშაობის ეკონომიკური მაჩვენებლები დროებით გაუარესდება მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“;

6. მე-15 პუნქტში:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მუშაობის ორგანიზაცია სახელმწიფო დაზღვევის განსახორციელებლად და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული დაზღვევის ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელება, აგრეთვე საეკონომიკური“;

ბულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის თითოეული სახეობის გადასახდელთა შემოსვლის გეგმების შესრულების უზრუნველყოფა“;

ბ) ამ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სახელმწიფო ორგანოებისათვის მმართველობის აპარატის მუშაეთა საშტატო განრიგების დამტკიცება დადგენილი წესით“;

7. მე-16 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს ნებართვით დაუდოს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ხელშეკრულებანი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის გადიდებული საფრთხის მქონე სამუშაოებზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევის შესახებ“;

8. მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო პერიოდულად მოახსენებს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სადაზღვევო გადასახდელთა შემოსვლის გეგმის შესრულების, კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და მოქალაქეთა ქონების სავალდებულო დაზღვევის ჩატარების, ნებაყოფლობითი ქონებრივი და პირადი დაზღვევის განვითარების, სადაზღვევო საზღაურისა და სადაზღვევო თანხების გაცემისათვის მუშაობის მდგომარეობის, დაზღვეული ქონების უყიარათო შენახვის გამოვლენილი ფაქტების და დაზღვევთა მიერ ხანძარსაწინააღმდეგო, ვეტერინარული და სხვა წესების დარღვევის შესახებ“;

9. მე-19 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) კონტროლი იმისადმი, თუ რამდენად სწორად გადაახდებიან და დროულად გადარიცხეს საპაეო, საზღვაო, შინაგანი წყლისა და საავტომობილო ტრანსპორტის ორგანიზაციებმა მგზავრთა დაზღვევის გადასახდელები“;

10. მე-20 პუნქტში:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აღრიცხოს მოქალაქეთა კუთვნილი ქონება, რომელიც სავალდებულო დაზღვევას ექვემდებარება, გამოიანგარიშოს და გადაახდებიან დადგენილი წესით მოქალაქეთა კუთვნილი ქონების, კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების სავალდებულო დაზღვევის გადასახდელები“;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტში სიტყვები: „შრომელთა დებუტატების სასოფლო-საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით: „სახალხო დებუტატთა სადაბო ან სასოფლო-საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების“;

11. 22-ე პუნქტში სიტყვები: „დაზიანება ან მოსპობა“ და „შრომელთა დებუტატების საბჭოების“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით: „დაღუპვა მოსპობა, დაკარგვა ან დაზიანება“ და „სახალხო დებუტატთა საბჭოების“;

12. 23-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

„23. სახელმწიფო დაზღვევის ინსპექცია პერიოდულად მოახსენებს სახალხო დებუტატთა საბჭოს შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტს სადაზღვევო გადასახდელთა შემოსვლის გეგმის შესრულების, კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და მოქალაქეთა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის ჩატარების, ნებაყოფლობითი ქონებრივი და პირადი დაზღვევის განვითარების, სადაზღვევო საზღაურისა და სადაზღვევო თანხების გასაცემად მუშაობის მდგომარეობის, დაზღვეული ქონების უყარათოდ შენახვის გამოვლენილი ფაქტების და დამზღვევთა მიერ ხანძარსაწინააღმდეგო, ვეტერინარული და სხვა წესების დარღვევის შესახებ“;

13. დაემატოს დებულებას შემდეგი შინაარსის 24<sup>1</sup> პუნქტი:

„24<sup>1</sup>. რაიონებში, ქალაქებსა და ქალაქის რაიონებში საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ნებართვით შეიძლება შეიქმნას სახელმწიფო დაზღვევის საუბნო ინსპექციები.

სახელმწიფო დაზღვევის საუბნო ინსპექციები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის ხელმძღვანელობით იმ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში, რომელთაც აწესებს ეს დებულება სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებისათვის“;

14. 25-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„25. საქართველოს სსრ სახდაზღვევის სახსრებს შეადგენენ:

ა) ძირითადი საშუალებების ფონდი;

ბ) სათადარიგო ფონდი ყველა სახის დაზღვევის ოპერაციებისათვის, კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების სავალდებულო დაზღვევის გარდა“;

გ) კოლმეურნეობებისა და სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) ქონების დაზღვევის ხაზით ჰარბი შემოსავლის თანხების 50 პროცენტი;

დ) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების დაზღვევის ხაზით ჰარბი შემოსავლის თანხების 50 პროცენტი;

ე) სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების დაზღვევის ხაზით ჰარბი შემოსავლის თანხების 50 პროცენტი;

ვ) სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობა-ქარხნებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების დაზღვევის ხაზით ჰარბი შემოსავლის თანხების 50 პროცენტი;

ზ) სიცოცხლის დაზღვევის შენატანების რეზერვი;

თ) სადაზღვევო ოპერაციების მიმდინარე შემოსავალი;

ი) სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ფონდი;

კ) მატერიალური წახალისების ფონდი;

ლ) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი“;

15. 26-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„26. ძირითადი საშუალებების ფონდს შეადგენენ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების კუთვნილი შენობა-ნაგებობანი და სხვა ქონება, რომელიც ძირითად საშუალებებს განეკუთვნება“;

16. 27-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27. სათადარიგო ფონდი გათვალისწინებულია ქონებრივი დაზღვევის (კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების სავალდებულო დაზღვევის გარდა) სადაზღვევო საზღაურის და პირადი დაზღვევის სადაზღვევო თანხების გასაცემად იმ შემთხვევებში, როცა მათ ვერ ფარავს მოცემული კალენდარული წლის ამ სახის დაზღვევის ოპერაციების მიმდინარე შემოსავალი.“

სათადარიგო ფონდის სახსრები ინახება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში განსაკუთრებულ ანგარიშზე. სათადარიგო ფონდის სახსრებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო ხარჯავს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების დაზღვევის ხაზით უკარბი შემოსავლის თანხები გათვალისწინებულია მხოლოდ ზემოაღნიშნული სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სადაზღვევო საზღაურის მისაცემად იმ წლებში, როცა მიმდინარე წლის გადასახდელთა თანხა საამისოდ საკმარისი არ აღმოჩნდება, აგრეთვე იმ სესხების დროზე დასაფარავად, რომლებიც მიღებულია შესაბამისად კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) ქონების დაზღვევის სარესპუბლიკათაშორისო სათადარიგო ფონდიდან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების დაზღვევის სარესპუბლიკათაშორისო სათადარიგო ფონდებიდან. აღნიშნული თანხები ინახება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ ანგარიშებზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში“;

17. 28<sup>1</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„28<sup>1</sup>. სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ფონდის, მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები ინახება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშებზე. აღნიშნული ფონდების სახსრები დაიხარჯება ამ ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესის დებულების შესაბამისად, რომელსაც დამტკიცებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით“;

18. 29-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„29. სახელმწიფო დაზღვევის ოპერაციების (კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სავალდებულო დაზღვევის ოპერაციების ვარდა) საერთო წლიური შედეგების მიხედვით გამოანგარიშებული მოგება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ წლიური ანგარიშისა და ბალანსის დამტკიცების შემდეგ წარიმართება:

80 პროცენტი — საქართველოს სსრ ბიუჯეტში;

5 პროცენტი — სათადარიგო ფონდში ყველა სახის დაზღვევის მიხედვით (კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო სა-



წარმოების (ორგანიზაციების), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის გარდა);

5 პროცენტი — სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ფონდში;

6 პროცენტი — მატერიალური წახალისების ფონდში;

4 პროცენტი — სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში“;

19. დებულების ტექსტში მოხსენიებული მითითებანი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს, აგრონომიური რესპუბლიკების, ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოების, რაიონებისა და ქალაქების სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციების, რესპუბლიკის სახდაზღვევის ორგანოების, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის, კოლმეურნეობების, სასამართლო და ადმინისტრაციული დაწესებულებების, აგრეთვე არბიტრაჟის მიმართ შეიცვალოს შესაბამისად მითითებებით საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს, სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოების, სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციების, რესპუბლიკის სახდაზღვევის ორგანოების, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის, კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოების, სასამართლოს, არბიტრაჟისა და სხვა ორგანოების მიმართ.

20. შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 აპრილის № 246 დადგენილებს დანართში და 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩაითვალოს „ზ“ ქვეპუნქტად, ხოლო მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი — „თ“ ქვეპუნქტად.

**22** სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 დეკემბრის № 1287 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის საკითხებზე სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 დეკემბრის № 1287 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. „კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების და კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის შესახებ“ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 მაისის № 363 დადგენილებაში:

მე-9 პუნქტის პირველ აბზაცში ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ამ მიზნით უზრუნველყონ, რომ გამოავლინონ და მისცენ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დადგენილი წესით“;

მე-9 პუნქტის მეორე-მეოთხე აბზაცები და 26-ე პუნქტის მეშვიდე აბზაცი ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-13 პუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 აპრილის № 299 დადგენილებისა „მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 დეკემბრის № 1286 დადგენილება „კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოწყობის მოწესრიგების შესახებ“ შემოღებულია სამოქმედოდ 1985 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კვ  
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი  
**ე. შვიპარდნაძე**

საქართველოს სსრ  
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**დ. პარტიველიშვილი**



## 23 რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელშეწყობის კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების ხელშეწყობის კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების ორგანიზაციისათვის. შექმნილია აგროსამრეწველო კომპლექსის ხელშეწყობის კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლებლების ქსელი — ფაკულტეტები უმაღლესი სასწავლებლებთან, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლები, სოფლის მეურნეობის მართვის რესპუბლიკური სკოლა, რომლებშიც ყოველწლიურად მზადდება და კვალიფიკაციას იმაღლებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ფორგანიზაციების, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების 3,1 ათასზე მეტი ხელმძღვანელი მუშაკი და სპეციალისტი.

ამავე დროს კვალიფიკაციის ამაღლების დამკვიდრებული სისტემა ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება თანამედროვე საკადრო პოლიტიკის საკითხებზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებიდან გამომდინარე მოთხოვნებსა და ამოცანებს.

აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლებლების არსებობის ქსელი ვეო უზრუნველყოფს ზემოაღნიშნულ მუშაკთა ყველა კატეგორიის სწავლების დაწესებულ პერიოდულობას და მთლიანად ჩაბმას სწავლებაში.

სერიოზული ნაკლოვანებებია სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში. კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო გეგმები და პროგრამები ხშირად გადატვირთულია ზოგადი ხასიათის საკითხებით, რომლებიც დაკავშირებული არაა წარმოების ინტენსიფიკაციის კონკრეტულ ამოცანებთან. სასწავლო პროცესის ჩატარებაში არასამკმარისად იწვევენ წამყვან მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, მოწინავე საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალ სხვა სამინისტროებსა და უწყებებს არ მიუღიათ ყველა საჭირო ზომა კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, თანამედროვე მანქანებით, მოწყობილობით, სახელმძღვანელოებით, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებებით მათი აღჭურვისათვის.

აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის მიზნით და „აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985

წლის 3 იანვრის № 4 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხერთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და მომდევნო აღენუმების და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფა, იმასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ:

იმ სასწავლებელთა ქსელის მოწესრიგებასა და განხორციელებას, რომლებიც ახორციელებენ ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას;

კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტების, ფაკულტეტების, სკოლებისა და კურსების კოლექტივების ღონისძიებათა წარმართვას სასწავლო პროცესის მუშაოში სრულყოფის, მსმენელთა მიერ სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის, შეცნირებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების, წარმოების დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე ეფექტიანი მეთოდების, შრომის მეცნიერული, ორგანიზაციის, სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური სიჯარის დანერგვის საკითხთა ღრმა შესწავლის უზრუნველსაყოფად;

მსმენელთა საწარმოო სწავლებისა და სტაჟირების ორგანიზაციის გაუმჯობესების, ამასთან გამოიყენონ ამ მიზნით მოწინავე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმო-ორგანიზაციები; აგროსამრეწველო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას შესაბამის სასწავლებლებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა დროულად გაგზავნის და სწავლის შემდეგ მათი სწორი გამოყენების უზრუნველსაყოფად;

აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლებლების მუშაობისადმი მუდმივი კონტროლის განხორციელებას, მათთვის დახმარების გაწევას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, პროფესორ-მასწავლებელთა კადრების შერჩევის, აგრეთვე ამ სასწავლებელთა საქმიანობის ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლების საქმეში.

2. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლის შექმნის შესახებ, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა სამინისტროსთან და უწყებასთან.

3. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად 1985 წლის ბოლომდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლის სტრუქტურა და საშტატო განრიგი, ამასთან წინასწარ შეუთანხმოს ისინი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინონ 1986 წლის ბიუჯეტის პროექტში საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისათვის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლის მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობისა და მისი შენახვის სახსრების ლიმიტის გამოყოფა.

4. იმის გამო, რომ არასამკარისია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო ბაზა და შეუძლებელია მის ტერიტორიაზე აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლის განლაგება, მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება ზემოაღნიშნული სკოლის შენობათა კომპლექსის თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობის შესახებ.

5. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საბი თვის ვადაში შეარჩიონ ქალაქის ფარგლებში თბილისის ზღვის მიდამოებში შესაბამისი მიწის ნაკვეთი აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლის შენობათა კომპლექსის ასაშენებლად და წინადადება ამ საკითხზე წარმოუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის გეგმაში აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლის შენობათა კომპლექსის დაპროექტება და 1ტ87 წელს მშენებლობის დაწყება აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ სამინისტროთა და უწყებათა წილობრივი მონაწილეობით.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ დაიწყოს აღნიშნული კომპლექსის მშენებლობა 1987 წელს.

7. მიზანშეწონილად ჩაითვალოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლის შენობათა კომპლექსის მშენებლობის

დამთავრებამდე. რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელი კადრების მომზადება განხორციელდეს საქართველოს კპ ცენტრლურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ცენტრის ბაზაზე.

ამასთან დაკავშირებით გადიდდეს აღნიშნული ცენტრის მსმენელთა — რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელმძღვანელი კადრების — ყოველწლიური კონტინგენტი 10მ კაცით და ამ სფეროს ადრე მოსამზადებელი კადრების გათვალისწინებით ცენტრის მსმენელთა ყოველწლიური კონტინგენტი გაიზარდოს 200 კაცამდე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1986 წლიდან შესაბამისად გაადიდონ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული საშალო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის (რომელიც საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ცენტრის შემადგენლობაში შედის) პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა და ხელფასის ფონდი.

8. აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლის შენობათა კომპლექსის საექსპლუატაციოდ გადაცემის შემდეგ დაეკისროს მას რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი სამინისტროებისა და უწყებების, საოლქო და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მართვის სკოლების, ტექნიკუმების, საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმებისა და სპეცვლო-საკურსო კომბინატების დირექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების ამოცანები.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკურ უმაღლეს სკოლაში მსმენელთა სწავლების ხანგრძლივობის ვადად დაწესდეს 1-3 თვე სამუშაოსაგან მოწყვეტით.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალმა სამინისტროებმა და უწყებებმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით ყოველწლიურად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლის მსმენელთა კონტინგენტი.

9. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა შექმნას სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოში აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილება აპარატის რეცხოვნობისა და ხელფასის ფონდის თავისი ლიმიტის ხარჯზე.

10. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა, აგრეთვე საშუალო სპეციალური განათლების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა (აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა, ვეტერნაროლოგთა, მექანიკოსთა, ტექნიკოს-მშენებელთა, ჰიდროტექნიკოსთა და სხვა სპეციალისტთა) მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის მიზნით:

— დიდი ჭიხაიშისა და კულაშის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლები გაერთიანდნენ დიდი ჭიხაიშის სოფლის მეურნეობის მართვის სკოლად.

დიდი ჭიხაიშის სოფლის მეურნეობის მართვის სკოლაში შეიქმნას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების საწარმოო ქვედანაყოფთა ხელმძღვანელი მუშაკების მოსამზადებელი განყოფილება და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი განყოფილება;

— თელეთის სოფლის მეურნეობის მართვის რესპუბლიკური სკოლა გარდაიქმნას თელეთის სოფლისმეურნეობის მართვის სკოლად ქართულ და რუსულ ენებზე სწავლების ფორმით, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს დამატებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი განყოფილების შექმნა.

11. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ მეურნეობათა ახლად არჩეულმა და დანიშნულმა ხელმძღვანელებმა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების განყოფილებათა მმართველებმა, ბრიგადების ხელმძღვანელებმა და ფერმების გამგებებმა, რომლებსაც წინათ არ უსწავლიათ აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ სასწავლებლებში, გაიარონ სპეციალური ერთთვიანი მომზადება სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების და სოფლის მეურნეობის მართვის სკოლების შესაბამის განყოფილებებზე.

12. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შეშავალმა სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ 1985-1990 წლებში საჭირო ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მართვის სკოლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად.

13. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში

შემავალმა სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ, ხოლო საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს დამხმარე სახელმძღვანელოები აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლებლებისათვის.

14. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებით:

— მიღებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის მართვის უმაღლესი სკოლა გარდაიქმნას აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულიად საკავშირო სკოლად ქალაქ მოსკოვში ამ სამინისტროს საწარმო-ორგანიზაციების მუშაკთა რიცხოვნობის ფარგლებში.

— აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულიად საკავშირო უმაღლეს სკოლას დაეკისრა სსრ კავშირის აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ამოცანები;

— აღნიშნული სკოლის მსმენელთა კონტინგენტს ყოველწლიურად განსაზღვრავს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით;

— აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკურ უმაღლეს სკოლებსა და მათს ფილიალებზე გავრცელდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 515 დადგენილების მე-11 და მე-12 პუნქტების მოქმედება,

— სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის აკადემიასთან და სსრ კავშირის სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით ექესი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულიად საკავშირო უმაღლესი სკოლის შესახებ და ტიპობრივი დებულება აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლის შესახებ;

— სოფლის მეურნეობის მართვის ახალშექმნილი სკოლები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 27 ივნისის № 562 დადგენილებით;

— დაწესდა, რომ, მოყოლებული 1985 წლიდან, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების (მრეწველად მათი უწყებრივი დაქვემდებარე-



ბისა) დამხმარე სასოფლო მეურნეობათა ხელმძღვანელი კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებზე, სოფლის მეურნეობის მართვის სკოლებსა და სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელ სკოლებში, ხოლო კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებში, აგრეთვე აგროსამრეწველო გაერთიანებებში მომუშავე სპეციალისტთა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგთა კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც წესი, — აგროსამრეწველო კომპლექსის შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა კვალიფიკაციის ასამაღლებელ სასწავლებლებში:

— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებლად კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებზე სწავლების ვადად დაწესდა 5 თვე, ხოლო კვალიფიკაციის ასამაღლებლად — 1-დან 3 თვემდე;

— სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულიად საკავშირო უმაღლეს სკოლას დაეკისრა სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლების, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების, სოფლის მეურნეობის მართვის სკოლებისა და სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლების მუშაობისადმი, აგრეთვე მეცნიერული კვლევის განხორციელება და კოორდინაცია აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე;

— დაწესდა, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულიად საკავშირო უმაღლესი სკოლისათვის სასწავლო გეგმებსა და სწავლების პროგრამებს, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლებისათვის, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტებისათვის, სოფლის მეურნეობის მართვის სკოლებისა და სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სკოლებისათვის ტიპობრივ სასწავლო გეგმებსა და სწავლების პროგრამებს შეიმუშავენ და დაამტკიცებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის აკადემიასთან და აგროსამრეწველო კომპლექსის შემად-

გენლობაში შემავალ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით;

— მიზანშეწონილად ჩაითვალა განისაზღვროს 1986 წლის 1 იანვრიდან აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლებლების (სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსამრეწველო კომპლექსს მართვის სრულიად საკავშირო უმაღლესი სკოლის და აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლებისა და მათი ფილიალების გარდა) მსმენელთა მატერიალური უზრუნველყოფის ერთიანი წესი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის № 38 დადგენილებით სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების მსმენელთათვის დაწესებული პირობების მიხედვით, ხოლო სწავლის ადგილზე და უკან გზაში ყოფნის დროს მსმენელთათვის დღიურების მიცემისა და სწავლების დროს მათი საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფის ნაწილში — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 515 დადგენილებით დაწესებული პირობების მიხედვით;

— სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალით: შეიმუშაონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი სხვა სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და დაამტკიცონ დებულება აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლებლების მსმენელთა მატერიალური უზრუნველყოფის წესის შესახებ.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი სამინისტროები და უწყებები, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები მიიღებენ ყოველგვარ საჭირო ზომებს ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ორგა-



ნიზაციის შემდგომი სრულყოფისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყოფენ მათს აქტიურ მონაწილეობას სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების ინტენსიფიკაციის და სასურსათო პროგრამის რეალიზაციის მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და მომდევნო პლენუმების და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში.

საქართველოს კპ  
ცენტრალური კომიტეტის მდივანი  
**ე. შავარდნაძე**

საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**დ. ქართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 18 ივნისი, № 421

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

### 24 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე რესპუბლიკური საპატიო დაჯიშის შიშის შესახებ

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობის გაუმჯობესების, მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის ღაჩქარებაში, ექსპოზიციების, გამოფენაზე სასწავლო-პროპაგანდისტული მუშაობის შინაარსისა და ხარისხისათვის სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების პასუხისმგებლობის გაძლიერებაში მისი როლის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 24 სექტემბრის № 681 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენამ შექმნას თავის ტერიტორიაზე რესპუბლიკური საპატიო დაჯიშის და ყოველწლიურად განაახლოს იგი.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე რესპუბლიკური საპატიო დაფის შესახებ.

საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**დ. ქართველიშვილი**

საქართველოს პროფკავშირთა  
რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე  
**თ. მოსაშვილი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 30 მაისი, № 371

**დაზტკივისებულის**

საქართველოს სსრ შინისტრთა საბჭოს:  
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-  
პუბლიკური საბჭოს 1985 წლის 30  
მაისის № 371 დადგენილებით

**დ ე გ უ ლ ე ბ ა**

**საქართველოს სსრ რესპუბლიკური საპატიო დაფის შესახებ**

1. რესპუბლიკური საპატიო დაფა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულებისათვის სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების შრომითი კოლექტივების მიღწევათა ფართო პროპაგანდისა და საჯაროობის საშუალებაა.

2. რესპუბლიკური საპატიო დაფა იდგმება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე. მისი გაფორმება შეიცავს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა ამსახველ ელემენტებს.

საპატიო დაფას ამკობს საქართველოს სსრ გერბი.

3. რესპუბლიკურ საპატიო დაფაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ შინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკპ ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილებით შეტანილ იქნებიან სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი.

4. საპატიო დაფაზე რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შეტანა ხდება საზეიმო ვითარებაში, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

5. დიპლომებში, რომლებიც გადაეცემათ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს, ცალკე აღინიშნება გადაწყვეტილება საპატიო დაფაზე შეტანის შესახებ.

6. საპატიო დაფა განახლდება, როგორც წესი, წელიწადში ერთხელ.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის წარდგენით ცალკეული შრომითი კოლექტივები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, ქალაქები და რაიონები, რომლებმაც დათმეს თავიანთი აქტიური შრომითი და შემოქმედებითი პოზიციები, შეიძლება მოიხსნან საპატიო დაფიდან.

7. საპატიო დაფის მახლობლად იქმნება შრომითი დიდების ხეივანი, სადაც განლაგდება წარმოების მოწინავეთა — ხუთწლედის გმირთა ფოტოპორტრეტები. შრომითი დიდების ხეივანში პორტრეტები გამოიკვრება სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით.

შრომითი დიდების ხეივანი განახლება საპატიო დაფის განახლებასთან ერთად.

8. რესპუბლიკური საპატიო დაფა შეიცავს ინფორმაციას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე შეტანილი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესახებ.

---

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაები

**25** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 18 მარტის № 241 დადგენილების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ „სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში, რომლებიც ითვალისწინებენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებს, ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 18 მარტის № 241 დადგენილებით შეტანილია ცვლილებანი სსრ კავშირის მთავრობის შემდეგ გადაწყვეტილებებში:

1. „მოქალაქეთა ჩაწერის ზოგიერთი წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 აგვისტოს № 678 დადგენილების მე-3 პუნქტს დამატა შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცრებს (ოჯახების წევრებთან ერთად) სხვა პირთა ან სამხედრო ნაწილის საცხოვრებელ ფართობზე — იმ დროსათვის, სანამ მიიღებენ საცხოვრებელ ფართობს დადგენილი წესით“.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 17 თებერვლის № 193 დადგენილებით დამტკიცებული სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო ვალდებულთა, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირთა და მათი ოჯახების შეღავათების დებულების 34-ე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„34. ასაკის ან ავადმყოფობის გამო თადარიგში დათხოვნილ ან გადამდგარ უფროსი ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, რომლებმაც იმსახურეს 25 წელი და მეტი (შეღავათიანი გამოანგარიშებით), უნარჩუნდებათ უფლება, რომ ისინი და მათი ოჯახების წევრები უზრუნველყოფილ იქნენ სამედიცინო დახმარებით სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებებში, ხოლო მათგან ისინი, რომელთაც ესაჭიროებათ სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა, — თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. ასეთი უფლება უნარჩუნდებათ აგრეთვე შტატების შემცირების ან ჩანმრთელობის შეზღუდული მდგომარეობის გამო თადარიგში დათხოვნილ პოლკოვნიკისა და მისი თანაბარი წოდების ოფიცრებს, რომლებმაც იმსახურეს 25 წელი და მეტი (შეღავათიანი გამოანგარიშებით) და დათხოვნის დღისათვის მიაღწიეს 45 წლის ასაკს, და მათი ოჯახების წევრებს.“

ასაკის, ავადმყოფობის, შტატების შემცირების ან ჩანმრთელობის შეზღუდული მდგომარეობის გამო თადარიგში დათხოვნილ ან გადამდგარ უმაღლესი ოფიცერთა შემადგენლობის პირებს უნარჩუნდებათ, წელთა ნამსახურობისა და ასაკის მოუხედავად უფლება, რომ ისინი და მათი ოჯახის წევრები უზრუნველყოფილ იქნენ სამედიცინო დახმარებით სამხედრო-სამედიცინო დაწესე-

ბულებებში, ხოლო მათგან ისინი, რომელთაც ესაჭიროებათ, — სანატორიულ-საკურორტო მკურნალობით-თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში“.

ღნიშნული დებულება მიღებულია ცნობად და სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 24 მარტის № 191 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 11 მაისი, № 332.

## 26 კურორტ ბაკურიანის მართვის შემდგომი სრულყოფის დონის-ძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მოთხოვნათა შესაბამისად კურორტ ბაკურიანის მართვის შემდგომი სრულყოფის მიზნით, კურორტზე ჩამოსული კონტინგენტის მკურნალობის, დასვენების, მომსახურების პირობების მკვეთრად გასაუმჯობესებლად, ერთიანი საკურორტო პოლიტიკის განხორციელებისა და ბუნებრივი რესურსების სწორი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას კურორტ ბაკურიანის დირექცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს ბაკურიანის ბავშვთა სანატორიუმ „მზის სხივის“ მმართველობის აპარატის ბაზაზე.

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს კურორტ ბაკურიანის დირექციის თანდართული დებულება და სტრუქტურა.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაუდიდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს კურორტ ბაკურიანის დირექციისათვის მმართველობის აპარატის შტატი 6 ერთეულით და, შესაბამისად — მისი შესანახი ხარჯების ზღვრული ასიგნებანი.

3. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც ეკუთვნით კურორტ ბაკურიანის ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტები, „საქკურორტის“ სამმართველოსთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღონ (დადგენილი წესის შესაბამისად) კურორტის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული დავალებების შესრულებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 21 მაისი, № 341

დამტკიცებულია  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1985 წლის 21 მაისის № 341 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### კურორტ ბაკურიანის დირექციის შესახებ

1. კურორტ ბაკურიანის დირექცია უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს და მოქმედებს დებულების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს კურორტ ბაკურიანის დირექციის ამოცანებია:

— საკურორტო ქსელის განვითარება, კურორტის მოქმედი სამკურნალო რესურსებისა და ახალი საკურორტო ფაქტორების ძიება, გამოყენება, აღრიცხვა და დაცვა;

— როგორც ორგანიზებული, ისე არაორგანიზებული წესით ჩამოსულ დამსვენებელთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენების ორგანიზაცია;

— კურორტზე ჩამოსული კონტინგენტის მიღება, სამკურნალოდ მოთავსება და მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ მათი გამგზავრების უზრუნველყოფა კურორტის ან საიჯარო ტრანსპორტით;

— არაორგანიზებული წესით ჩამოსულ დამსვენებელთა დაბინავება. (ამ მიზნით დირექცია იყენებს როგორც კურორტის ტერიტორიაზე განლაგებულ სასტუმროებს, ისე კერძო პირთა ბინებს მათი სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის მოწესრიგების შემდეგ);

— იჯარის საიჯარო-ბრიგადული ფორმების ფართოდ დანერგვა;

— საკურორტო გამოსაღების გადახდევინება უსავსეოდ ჩამოსული დამსვენებლებისა და კურორტის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა ორგანიზაციისათვის დადგენილი ოდენობით და არსებული წესის შესაბამისად;

— დამხმარე მეურნეობების, აგრეთვე კურორტისათვის საჭირო სხვა საწარმოთა შექმნა „საკურორტის“ სამმართველოსთან შეთანხმებით საფინანსო ბაზის განსამტკიცებლად, კურორტებზე დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოსულ პირთა პროდუქტებით მოსამარაგებლად და საკურორტო-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად;

— დამსვენებელთა კვების ორგანიზაცია საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებში სახელშეკრულებო პირობებით;

— საკურორტო და სასპორტო ინვენტარის გამჭირავებელი პუნქტების, ბავშვთა გასართობი მოედნების, ატრაქციონების მოწყობა დასვენების ადგილებში და მათი შემდგომი ექსპლუატაცია;

— სპორტულ-გამაჯანსაღებელ და კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზაცია (ლექცია, ექსკურსია, სამკურნალო ტურისმი და სხვა);

— დამსვენებელთათვის ტრანსპორტის ბილეთების წინასწარი შესყიდვის პირობების შექმნა.

3. ძირითადი საქმიანობის გარდა კურორტის დირექცია კოორდინაციას უწევს კურორტის ტერიტორიაზე არსებული ყველა სამკურნალო დაწესებულების მიერ (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) კეთილმოწყობის ღონისძიებათა დაგეგმვას და განხორციელებას, კომუნალური, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ქსელის განვითარების სამუშაოთა შესრულებას.

4. კურორტის დირექცია არის სამეურნეო ანგარიშზე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს საგეგმო დავალებათა ფარგლებში ასრულება ყველა ოპერაცია, რომელიც მიმართულია ამ დებულებაში აღნიშნულ ამოცანათა შესასრულებლად.

5. კურორტის დირექცია არის იურიდიული პირი, აქვს შტაბში და გერბიანი ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია მისი სახელწოდება.

6. კურორტის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების სწორი ექსპლუატაციისა და შემდგომი განვითარების საქმეში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების მიზნით, კურორტის დირექცია ქმნის დირექტორთა საბჭოს, რომლის შემადგენლობაში შედიან კურორტის ტერიტორიაზე განლაგებული სანატორიულ-საკურორტო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და მსხვილი ორგანიზაციების ხელმძღვანელები თანამდებობების მიხედვით, კურორტის დირექტორის თავმჯდომარეობით.

7. დირექტორთა საბჭო კოლექტიური ორგანოა, რომელიც განიხილავს და წყვეტს დასვენების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისა და კურორტის განვითარების კომპლექსურ ღონისძიებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

8. კურორტის დირექცია თავის საქმიანობას წარმართავს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან მჭიდრო კავშირში, ახორციელებს ღონისძიებებს საზოგადოების ფართო ფენების ჩასაბმელად მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 9 მარტის № 120 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად საკურორტო გამოსაღებიდან მიღებული სახსრები მთლიანად გადადის კურორტის დირექციის განკარგულებაში და გამოიყენება საკურორტო და დასასვენებელი ზონების კეთილმოწყობად, საკურორტოებისა და საზაფხულო შენობების, საავტომობილო სადგომების მშენებლობისათვის დანადგარების შესაძენად და სათანადო სანიტარიულ-ტექნიკური წესრიგის დასამყარებლად კურორტზე.

10. კურორტ ბაკურიანის დირექცია ადგილობრივი სანიტარიული დაცვის ორგანოებთან ერთად ახორციელებს კონტროლს კურორტის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულების სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობისადმი და აუცილებლობის შემთხვევაში იყენებს თვით ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერების სანქციასაც.



11. კურორტის დირექცია დებს გრძელვადიან ზელშეკრულებებს და აქვს საქმიანი ურთიერთობა ადგილობრივი საზოგადოებრივი კვების, კურორტვაჭრობის ორგანიზაციებთან, რკინიგზისა და აეროფლოტის სააგენტოებთან.

12. დირექცია კონტროლს უწევს საკურორტო ბიუროს საქმიანობას, საბინაო ფონდის მდგომარეობასა და ბინის გამჭირავებლების მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

13. კურორტ ბაკურიანის დირექცია ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს წინაშე.

14. კურორტის დირექციის საქმიანობის რევიზიას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველო.

---

## 27 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 24 დეკემბრის № 829 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს დამატება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკურორტ-ბისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ასაღები მოქალაქეთა კუთვნილი საცხოვრებელი სახლების, სხვა ნაგებობებისა და მოწყობილობების ღირებულების ანაზღაურების და საცხოვრებელი ფართობით მათი უზრუნველყოფის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილების ცვლილებებში, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 24 დეკემბრის № 829 დადგენილებით, და აღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტს სიტყვის: „ტყიბულის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა: „მარნეულის“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ., 22 მაისი, № 348.

## 28 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გაზის ქსალების დაცვის წესების შესახებ

მომხმარებელთა შეუფერხებელი გაზმომარაგებისა და გაზის ქსელების უეცარი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1985 წლის 1 ივლისიდან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გაზის ქსელების დაცვის თანდართული წესები.

2. სამინისტროებმა, უწყებებმა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა გააცნონ აღნიშნული წესები საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და უშუალო შემსრულებლებს, უზრუნველყონ მათი შესწავლა და კონტროლი ამ წესების დაცვისადმი.

3. ამ წესების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 17 ივნისის № 327 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გაზის ქსელების დაცვის წესები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 24 მაისი, № 358

დამტკიცებულია  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1985 წლის 24 მაისის № 358 დადგენი-  
ლებით

## წ ე ს ე ბ ი

### გაზის ქსელების დაცვისა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე

1. ეს წესები შემოღებულია გაზის ქსელების (ქუჩის, შინაკვარტალური, საეზოე და დასახლებათაშორისი) დაცვის უზრუნველსაყოფად და მათი ექსპლუატაციისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად, რამდენადაც ამ ქსელების დაზიანება არღვევს ნორმალურ გაზმომარაგებას, ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას და შეიძლება გამოიწვიოს ავარიები და უბედური შემთხვევები.

2. საპროექტო ორგანიზაციებმა:

ა) რომლებიც აპროექტებენ მიწისქვეშა და მიწისზედა ნაგებობებს:

— პროექტის გამოშვებამდე შეუთანხმონ იგი გაზის მეურნეობებს, რომელთა საქმიანობის ზონაშიც პროექტდება ნაგებობა (კალკზე სათანადო გადატანით);

— გაითვალისწინონ საცხოვრებელ სახლებსა და შენობებში მიწისქვეშა კომუნიკაციათა შემყვანების შემქიდროება, სარდაფების გარე კედლებსა და ტექნიკურ სარდაფებში სასულებების მოწყობა, აგრეთვე სარდაფებისა და ტექნიკური სარდაფების ვენტილაცია;

— გაითვალისწინონ მიკრორაიონების განაშენიანების გენერალურ გეგმებში უბნები (მათს ცენტრალურ ნაწილში) მიწისქვეშა კომუნიკაციების გარეშე ელექტროქიმიური კოროზიისაგან გაზსადენთა დაცვის ანოდური ჩამამიწებლების მოსათავსებლად;

ბ) რომლებიც აპროექტებენ გაზის ქსელებს:

— გაითვალისწინონ იქ, სადაც არსებობს ტექნიკური პირობები, უპირატესად მიწისზედა გაზსადენები (შინაკვარტალური, საეზოე, საამქროთაშორისი);

— გაითვალისწინონ გამანაწილებელ გაზსადენებზე გამომრთველ მოწყობილობათა დაყენება ავარიების დროს, დაწინებვის მეთოდით სიმკვრივეზე გამოცდისას აღდგენით სამუშაოთა და გაზსადენების ნორმალური ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად სხვა სამუშაოთა შესრულებისათვის.

3. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

— არ გასცენ ნებართვა რაიმე მიწისქვეშა ან მიწისზედა სამუშაოთა წარმოების შესახებ შესაბამის გაზის მეურნეობებთან შეუთანხმებლად;

— საქართველოს სსრ სახმშენთან (სახარკმშენკონტროლის ინსპექციებთან) ერთად არ დაუშვან საცხოვრებელი სახლებისა და შენობების ექსპლუატაცია მიწისქვეშა კომუნიკაციათა შემყვანების საგულდაგულო ჰერმეტიზაციის, სარდაფების გარე კედლებზე და ტექნიკურ სარდაფებში სასულებების არსებობის, აგრეთვე სარდაფებისა და ტექნიკური სარდაფების ვენტილაციის გარეშე;

— დაუბრკოლებლივ მისცენ გაზის მეურნეობებს შესაძლებლობა აწარმოონ მიწის სამუშაოები ქუჩების სავალ ნაწილზე მიწისქვეშა გაზსადენებისა და მათი ნაგებობების შესამოწმებლად, შესარემონტებლად და გადასაწყობად;

— კოროზიასთან ბრძოლის ინსპექციებისა და სამუშაო ჯგუფების ძალეობით განახორციელონ სისტემატური კონტროლი ელექტროქიმიური კოროზიისაგან მიწისქვეშა ლითონის ნაგებობათა დაცვის უზრუნველსაყოფად;

— მაქსიმალურად შეუწყონ ხელი გაზის მეურნეობებს ყველა საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულებისა და მოქალაქის მიერ ამ წესების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფაში და გაუწიონ დახმარება გაზსადენებზე ავარიებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციაში;

— უზრუნველყონ მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული აგეგმვა, პლანშეტების დამზადება და გაზის მეურნეობებისათვის გადაცემა საავარიო-სადისპეტჩერო სამსახურების აღსაჭურვად.

4. რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და მოქალაქეებმა:

ა) რომლებიც აწარმოებენ მიწის, საგზაო და საბურღ სამუშაოებს, მიწისქვეშა ნაგებობების (წყალსადენი, კანალიზაცია, თბოქსელი, კაბელი და სხვ.) სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს, მიწისზედა ნაგებობების (საცხოვრებელი სახლები, შენობები, რელსიანი ტრანსპორტი და სხვ.) სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს, შენობა-ნაგებობათა აღებას:

— უნდა განახორციელონ ეს სამუშაოები მას შემდეგ, რაც:

გაფორმდება მიწის სამუშაოთა წარმოების ნებართვა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებში და მიღებულ იქნება გაზის მეურნეობის წერილობითი დასტური მოცემულ უბანზე სამუშაოთა წარმოების შესაძლებლობისა და პირობების შესახებ;

წინასწარ (სამუშაოთა დაწყებამდე ერთი დღით ადრე) გაფორმებულ იქნება ტელეგრამით, ტელეტაიპოგრამით ან ტელეფონოგრამით შესაბამისი გაზის მეურნეობა (სამუშაოთა წარმოების ადგილისა და ზუსტი მისამართის აღნიშვნით) და ადგილზე მივა გაზის მეურნეობის წარმომადგენელი.

— მოვალენი არიან:

გაზსადენის უშუალო სიახლოვეს სამუშაოთა წარმოებისას უზრუნველყონ გაზის ქსელებისა და მათი ნაგებობების დაცვა საკუთარი ძალებითა და საშუალებებით;

სამუშაოთა წარმოების დროს მიწისქვეშა გაზსადენის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ შეაჩერონ სამუშაოები მოცემულ უბანზე, დააყენონ დაცვა და შეატყობინონ ამის შესახებ გაზის მეურნეობას და მისი წარმომადგენლის მისვლამდე არ განახლონ სამუშაოები;

იქონიონ სამუშაოთა შესრულების ადგილზე შესაბამის ორგანიზაციებთან შეთანხმებული ნახაზები და სამუშაოთა წარმოების ნებართვა;

მტკიცედ დაიცვან პროექტის შეთანხმების დროს დათქმული პირობები და ვაზის მეურნეობის წარმომადგენლის დამატებითი მითითებანი;

მიწისქვეშა კომუნკაციათა ქვების მშენებლობისა და რემონტის დროს დააყენონ ნაზვრეტებანი ხუფები 3634-79 სახსტანდარტის თანახმად;

ბ) რომლებიც ახორციელებენ ობიექტების გაზიფიკაციას და არიან შემკვეთები, უნდა:

— შეუთანხმონ გაზიფიკაციის პროექტი ადგილობრივ ვაზის მეურნეობებს გაზომარაგების დამროექტების ტექნიკური პირობებისადმი შესაბამისობის ნაწილში მისი რეგისტრაციის მიზნით;

— რეგისტრაციაში გაატარონ საგაზიფიკაციო ობიექტის ვაზის მეურნეობანი საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ გაზტექნიკურ ინსპექციაში;

— გაზსადენებისა და მათი ნაგებობების მშენებლობის პროცესში გამოიძახონ ადგილობრივ ვაზის მეურნეობათა წარმომადგენლები მშენებლობის ხარისხისადმი ეტაობრივ კონტროლში და გაზსადენის სამშენებლო პასპორტისა და სხვა შესასრულებელი დოკუმენტაციის გაფორმებაში მონაწილეობის მისაღებად;

— ადგილობრივი ვაზის მეურნეობების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეასრულონ გაზსადენის მშენებლობის ტრასის დაკვალვა, ფარულ სამუშაოთა (გაზსადენების იზოლაცია და შედუღება, ტრანშეის, ანოდური ჩამამიწებლების მომზადება და ა. შ.) ხარისხის შემოწმება, გაზსადენთა გამოქრევა და გამოცდა (გამძლეობასა და სიმკვრივეზე) და ა. შ.;

გ) კატეგორიულად აკრძალულია:

— სამშენებლო ნორმებითა და წესებით რეგლამენტირებული გაზსადენის დაცვის ზონებში:

რაიმე (დროებითი და მუდმივი) შენობა-ნაგებობების აშენება;

ყოველგვარი ხე-ბუჩქნარის დარგვა;

მასალებისა და მოწყობილობის დაწყობა;

მიწის სამუშაოთა წარმოება ვაზის მეურნეობის წარმომადგენლის მისვლამდე და მისი წერილობითი ნებართვის გარეშე;

ნაგვისა და თოვლის დაყრა, საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების საყრდელის მოწყობა, აგრეთვე აგრესიული სითხეების დაღვრა;

ცეცხლის გაჩაღება და რაიმე ღია ან დახურული ცეცხლის წყაროს მოწყობა;

— ონკანებისა და საკვალთების გაღება და ჩაკეტვა; ვაზის ქვების ლიუკების, კოვერების, დაცვითი კარადების სახურავების გაღება და მოხსნა; ვაზის მეურნეობის კავშირგაბმულობის, ენერგომომარაგებისა და ტელემექანიკის საშუალებათა ჩართვა და გამოორთვა;

— ყოველგვარი მოქმედება, რასაც შეუძლია დაარღვიოს ქსელებისა და მათი ნაგებობების ნორმალური ექსპლუატაცია და გამოიწვიოს დაზიანება, როგორცია: ვაზსადენების საყრდენების გაფუჭება, ვაზსადენების გამოყენება

საყრდენებად, გარეგანი სამაგრების მოგლეჯა, გარეგან გაზსადენეიფე რაიმე საგნების მიღგმა და ა. შ.;

— გაზის ქსელების თვითნებური მონტაჟი, გაზის ხელსაწყობების გადატანა და მიერთება გაზის ქსელებთან;

— გაზის ქსელებთან, გაზსარეგულატორო ნაგებობებთან და დაცვით დახადგარებთან მისასვლელებისა და გასასვლელების გადაღობვა;

— ჭებში ჩასვლა და სამუშაოთა შესრულება მიწისქვეშა კომუნიაკაციებზე (წყალსადენი, კანლიზაცია, თბოქსელი, კაბელი და ა. შ) ისე, თუ გაზანალიზატორმა არ აილო ჰაერის სინჯი გაზის არსებობაზე;

— საუწყებო გაზსადენებისა და მათი ნაგებობების საექსპლუატაციოდ გადაცემა (მოქმედ გაზსადენში შეჭრა და გაზის გაშვება);

სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო და შესასრულებელ-ტექნიკური დოკუმენტაციის გარეშე;

ელექტროქიმიური კოროზიისაგან გაზსადენის დაცვის გარეშე;

თუ არ არსებობს საკუთარი გაზის სამსახური ან გაფორმებული არ არის ხელშეკრულება (შრომის ლიმიტების გადაცემის პირობით) შინაგანი (ობიექტის ტერიტორიაზე) გაზის მეურნეობის ტექნიკური მომსახურებისათვის და გაზის მეურნეობის ექსპლუატაციის საწარმოო ტრესტის (სამმართველოს) ბალანსზე გარე (საწარმოო ტერიტორიებამდე და საცხოვრებელი სახლებისა და შენობების შემყვან გაზსადენებამდე) გაზის ქსელებისა და მათი ნაგებობების გადაცემის გაფორმებული დოკუმენტები ინსტრუქციის თანახმად;

— საცხოვრებელი სახლებისა და შენობების საექსპლუატაციოდ გადაცემა მიწისქვეშა კომუნიაკაციათა შემყვანების საგულდაგულო ჰერმეტიზაციის, სარდაფების გარე კედლებზე და ტექნიკურ სარდაფებში სასულების არსებობის, აგრეთვე სარდაფებისა და ტექნიკური სარდაფების ვენტილაციის გარეშე.

5. ელექტრიფიცირებული ტრანსპორტის მფლობელებმა არ დაუშვან მოხეტიალე დენის ასხლეტა იმ სიდიდის გადამეტებით, რაც რეგლამენტირებულია 9015-74 სახსტანდარტით.

6. საცხოვრებელი მასივების (დასახლებული პუნქტების), საწარმოების, ცალკეული შენობა-ნაგებობების (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი) მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს გაზსადენების არსებობის რაიონში, თუ მტკიცედ იქნება დაცული სსრ კავშირის სახმშენის მიერ დამტკიცებული დაპროექტების სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებული მინიმალური მანძილი გაზსადენის ღერძიდან (მისი ობიექტიდან) შენობა-ნაგებობებამდე.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის თაობაზე შესაბამისი ორგანოების მიერ შუამდგომლობის განხილვისას მშენებლობის ობიექტების ადგილსამყოფელი წინასწარ უნდა შეუთანხმდეს ადგილობრივ გაზის მეურნეობებს.

7. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის გაზის მეურნეობებს უფლება ეძლევათ:

ა) მიწათმოსარგებლეებთან და სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებული მოსასვლელების სქემის შესაბამისად მიიყვანონ საავტომობილო ტრანსპორტი და სხვა ტექნიკური საშუალებანი გაზსადენთან და მის ობიექტებთან მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოთა განსახორციელებლად.

თუ გაზსადენები აკრძალული ზონებისა და სპეციალური ობიექტების ტერიტორიაზე ვადის, შესაბამისმა ორგანიზაციებმა უნდა მისცენ ამ გაზსადენების მომსახურე მუშაკებს სამუშაო დღე-ღამის ნებისმიერ დროს გასინჯვა-დათვალიერებისა და სარემონტო სამუშაოთა განსახორციელებლად:

ბ) მოაწიონ დაცვითი ზონის ფარგლებში შურფები გაზსადენთა იზოლაციის ხარისხის და ელექტროქიმიური კოროზიისაგან მათი დაცვის საშუალებათა მდგომარეობის შესამოწმებლად და აწარმოონ გაზსადენთა ნორმალური ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად სხვა მიწის სამუშაოები, ამასთან წინასწარ (სამუშაოთა დაწყებამდე 5 დღით ადრე მაინც) შეატყობინონ ეს მიწათმოსარგებლეს.

8. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის გაზის მეურნეობებსა და საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებს უფლება აქვთ თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად შეაჩერონ ამ წესების, სსრ კავშირის მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული გაზის მეურნეობაში უსაფრთხოების წესების და სსრ კავშირის სახმშენის სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევით შესრულებული სამუშაოები გაზსადენის ზონაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი დაზიანება.

9. სამუშაოთა წარმოების დროს გაზის ქსელებისა და მათი ნაგებობების დაზიანების ყველა შემთხვევაში საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ზელმძღვანელებს, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებმაც დაუშვეს ეს დაზიანებანი, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა, ხოლო მძიმე შედეგის დაზიანებისათვის მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში.

10. მექანიკური დაზიანების ან მოხეტიალე დენის ასხლეტასთან დაკავშირებით კოროზიის, საცხოვრებელ სახლებსა და შენობებში მიწისქვეშა კომუნიკაციათა შემყვანების ჰერმეტიზაციის უქონლობის გამო გაზსადენებზე მომხდარი ავარიებისა და უბედური შემთხვევებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ უშუალოდ სამშენებლო და სარემონტო ორგანიზაციებს, რომლებმაც დაუშვეს გაზსადენის მექანიკური დაზიანება, და ელექტრიფიცირებული ტრანსპორტის, საცხოვრებელი სახლებისა და შენობების მფლობელებს.

11. გაზსადენისა და მისი ნაგებობის დაზიანების შესახებ აქტს შეადგენს ექვს ცალად გაზის მეურნეობა საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოების წარმომადგენელთა და დამნაშავე პირის მონაწილეობით.



აქტში აღინიშნება ავარიისათვის დამნაშავე პირები და ავარიით გამოწვეული მატერიალური ზარალი.

აქტის თითო ცალი ეგზავნებათ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს, დამნაშავე ორგანიზაციის (პირს) და პროკურატურას.

როდესაც დამნაშავე უარს განაცხადებს აქტის ხელმოწერაზე, ეს აქტი გაფორმებულად ითვლება, თუ მას ხელს აწერენ გაზის მეურნეობის ადმინისტრაციის და საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლები.

როდესაც დამნაშავე უარს განაცხადებს მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე, გაზის მეურნეობა აქტს უგზავნის შესაბამისი წერილითურთ სახალხო სასამართლოს იძულებითი წესით ზარალის ანაზღაურებლად.

12. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად განიხილოს გაზის ქსელებში თითოეული ავარიის მიზეზები.

13. ამ წესების დარღვევისათვის დამნაშავე პირები დაჯარიმდებიან. დაჯარიმების საკითხს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები დადგენილი წესით.

14. ეს წესები სავალდებულოა ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, რომლებიც განლაგებულია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

**29** სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის  
გმირის ვ. დ. გუდიაშვილის ხსოვნის უკვდავოების შესახებ

გამოჩენილი ქართველი მხატვრის, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სო-  
ციალისტური შრომის გმირის ვ. დ. გუდიაშვილის ხსოვნის უკვდავოების მიზ-  
ნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— მიაკუთვნოს ვ. დ. გუდიაშვილის სახელი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს (კეცხოველის ქ. № 11), სადაც  
ცხოვრობდა ვ. დ. გუდიაშვილი.

2. დაწესდეს თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფა-  
კულტეტზე ვ. დ. გუდიაშვილის სახელობის ერთი სტიპენდია აკადემიისათვის  
გამოყოფილი სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

3. მიეკუთვნოს ვ. დ. გუდიაშვილის სახელი აჭარის მხატვართა კავშირის  
საგამოფენო დარბაზს.

4. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭ-  
რობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს მონოგრაფია „ლადო გუ-  
დიაშვილი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 30 მაისი, № 368.

**30** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 დეკემბრის  
№ 863 დადგენილებით დამტკიცებული რესპუბლიკური (ასსრ) და  
ადგილობრივი დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა და  
ორგანიზაციათა საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების წარდ-  
გენის, განხილვისა და დამტკიცების წესისა და ვადების ნაწილობრივ  
შეცვლის შესახებ

„თვიური საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შედგენის გაუქმე-  
ბის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 11 მაისის № 397  
დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29  
დეკემბრის № 863 დადგენილებით დამტკიცებულ რესპუბლიკური (ასსრ) და  
ადგილობრივი დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაცია-  
თა საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენის, განხილვისა და  
დამტკიცების წესისა და ვადებში შემდეგი ცვლილებანი:

— ამოღებულ იქნეს I განაყოფის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-10 პუნქტების პირველი აბზაცებიდან და II განაყოფის „ა“ პუნქტის მესამე და მეექვსე აბზაცებიდან სიტყვები: „თვიურ“ და „თვიური“, ხოლო I განაყოფის მე-8 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცებიდან და მე-12 და მე-13 პუნქტების მეორე აბზაცებიდან სიტყვები: „თვიურ და“;

— ჩამოყალიბდეს II განაყოფის „ა“ პუნქტის მეოთხე აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„— როგორც მიმდინარე, ისევე წინა წლის საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების მონაცემების შესწორებანი (წლიური საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დამტკიცების შემდეგ), რომლებიც იწვევენ საბუღალტრო აღრიცხვაში ჩანაწერების ცვლილებას, შეიტანება იმ საანგარიშო კვარტალისათვის შედგენილ პირველსავე ანგარიშსა და ბალანსში, რომელშიც აისახა შესაბამისი შესწორებანი“;

— ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-3 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „თვიური საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შედგენის გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 11 მაისის № 397 დადგენილებით:

— გაუქმდა თვიური საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შედგენა გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, მთავარ სამმართველოთა და სამეურნეო მართვის სხვა ორგანოთა მიერ.

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 15 აპრილის № 282 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 იანვრის № 59 დადგენილებით დამტკიცებული მთავარ ბუღალტერთა დებულების 23-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულია სიტყვა „თვიური“.

— აღნიშნული დადგენილება შემოღებულია სამოქმედოდ 1985 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

## 31 საცხოვრებელი სახლების სარდაფებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახად საკუჭნაოების მოწყობის შესახებ

მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ:

— საცხოვრებელ სახლებში სარდაფების მოწყობა ხორციელდება საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე;

— თუ გრუნტის წყლების დონე მაღალია, გადაწყვეტილებას სარდაფების მოწყობის შესახებ საპროექტო ორგანიზაცია მიიღებს გეოლოგიურ-საძიებო მონაცემების საფუძველზე, იხელმძღვანელებს რა სამშენებლო ნორმებითა და წესებით;

— ახლად მშენებარე და სარეკონსტრუქციო შენობებში სარდაფების მოსაწყობად დაეალებებს ვასცემს საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბი რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სამოქალაქო თავდაცვის შტაბები — ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე;

— საცხოვრებელი სახლების პროექტების ცვლილებებსა და მათი მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადიდებას, რასაც გამოიწვევს მოწყობილობის დადგმა შენობათა სამეურნეო სათავსების ექსპლუატაციის დროს, არ უნდა მოჰყვეს რესპუბლიკის მიხედვით საქალაქო საბინაო მშენებლობაში 1 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის დამტკიცებული საშუალო ღირებულების გადამეტება;

— საკუჭნაოს ფართობი ერთ ბინაზე არ უნდა აღემატებოდეს 6 კვადრატულ მეტრს;

— საცხოვრებელი სახლების სარდაფებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახად საკუჭნაოების მოწყობის ნებართვას ვასცემენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომები მოსახლეობის განაცხადების მიხედვით;

— ქალაქებსა და მუშათა დაბებში საცხოვრებელი სახლების სარდაფებში საკუჭნაოების დაპროექტებას, მოწყობასა და აღჭურვას ახორციელებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო საცალო ფასებში მოსახლეობის სახსრების ხარჯზე;

— სასოფლო დასახლებულ პუნქტებში საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას სამეურნეო სათავსების მოწყობა დასაშვებია „საბინაო მშენებლობის“ დარგით გამოყოფილ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

2. საქართველოს სსრ სახმშენმა გაითვალისწინოს საკუჭნაოებიანი სარდაფების მოწყობით საცხოვრებელი სახლების პროექტების ვარიანტების შემუშავება ტიპობრივი პროექტების მოქმედ და შესამუშავებელ სერიაში.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 9 აპრილის № 219 დადგენილება „საცხოვრებელი სახლების სარდაფებში ბოსტნეულის შესანახად საკუჭნაოების მოწყობის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ზითანაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1985 წ. 3 ივნისი, № 376

## 32 საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თანდართული სტრუქტურა და დებულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 დეკემბრის № 818 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ და 1982 წლის 29 აპრილის № 308 დადგენილება „საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 6 ივნისი, № 386.

დამტკიცებულია  
საქართველოს სსრ მინისტროს საბჭოს  
1985 წლის 6 ივნისის № 386 დადგე-  
ნილებით

### ს ტ რ უ შ ბ უ რ ა

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის:

კომიტეტის ხელმძღვანელობა

კრებსით-ეკონომიკური განყოფილება

შრომის ნორმირებისა და ხელფასის განყოფილება

შრომის პირობების განყოფილება

შრომითი რესურსების განყოფილება

კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილება

მრეწველობის განყოფილება

მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილება

სოფლის მეურნეობის განყოფილება

არასაწარმოო დარგების განყოფილება

შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის საუწყე-

ბათაშორისო საკოორდინაციო სამმართველო

ცენტრალური ბუღალტერია

საკანცელარიო და სამეურნეო მომსახურების განყოფილება

დამტკიცებულია  
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 1985 წლის 6 ივნისის № 386 დად-  
 გენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი (საქართველოს სსრ შრომსახკომი) არის საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შრომის, მისი ანაზღაურების, შრომითი რესურსების გამოყენების დარგში ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებისათვის.

2. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— შეიმუშაოს და განახორციელოს შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების მობილიზაციის, შრომის პირობების, ორგანიზაციისა და ნორმირების გაუმჯობესების ღონისძიებანი;

— ხელი შეუწყოს მოწინავე გამოცდილების დანერგვას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, მორალური სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას;

— განახორციელოს შრომის ანაზღაურებისა და პრემირების სისტემის მოქმედი პირობების გამოყენების გამოცდილება, შეიმუშაოს წინადადებანი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში მათი მასტიმულირებელი როლის გაძლიერების შესახებ;

— უზრუნველყოს შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, მოსახლეობის რაციონალური დასაქმება და მისი შრომითი მოწყობა, გაანაწილოს და გადაანაწილოს მუშახელი;

— კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა მუშაობას შრომის, მისი ანაზღაურებისა და შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების დარგში;

— განახორციელოს კონტროლი შრომის, ხელფასისა და სოციალურ განვითარების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, შეიმუშაოს შესაბამისი წინადადებანი.

3. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი და მისი საქვეუწყებო დაწესებულებანი და ორგანიზაციები წყვეტენ მათთვის დაკისრებულ ამოცანებს საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების წინადადებათა გათვალისწინებით და მათთან ურთიერთმოქმედებით.

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტში შრომის საკითხთა განხილვაში მონაწილეობენ შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, საქართ-



ველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და დარგობრივ პროფკავშირთა კომიტეტების წარმომადგენლები.

4. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— შემუშავებს და წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს ხანგრძლივი პერსპექტივისთვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების ძირითად მიმართულებათა პროექტების გამო წინადადებებს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, შრომითი რესურსების ბალანსის სრულყოფის, წარმოებაში კადრების მომზადების, წარმოების ორგანიზაციის, მუშაობის მოწინავე ხერხებისა და მეთოდების გამოყენების, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდის ტემპებს შორის თანაფარდობის განსაზღვრის ნაწილში, აგრეთვე სოციალური განვითარების სხვა საკითხებზე;

— განახორციელებს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტების მონაწილეობით მუშაობას შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოვლენისა და გამოყენების, შრომის ორგანიზაციისა და პირობების, აგრეთვე ნორმირების გაუმჯობესების, მუშაობის ბრიგადული, საიჯარო და სხვა პროგრესული მეთოდების გამოყენების, სამუშაო დროის უფრო სრულად გამოყენების, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, მუშაობის მატერიალური და მორალური სტიმულების ეფექტიანი გამოყენების, სოციალისტური შეჯიბრების განვითარების მიზნით;

— მონაწილეობას მიიღებს მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების, აგრეთვე შრომის პრობლემებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, შრომის მატერიალური და მორალური სტიმულების ქმედითობის გაძლიერების ნაწილში ეკონომიკური ექსპერიმენტების შემუშავებასა და რეალიზაციაში;

— განახორციელებს მუშაობას რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, რაიონებში შრომითი რესურსების მდგომარეობის შეფასებისათვის და ამის შესაბამისად მოამზადებს წინადადებებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების მიზანშეწონილობის, საზოგადოებრივ წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის რაციონალური დასაქმების შესახებ; საგეგმო ორგანოებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს დარგებსა და რაიონებს შორის მუშახელის გადასანაწილებლად წარმოების მოთხოვნილებებისა და არსებული შრომითი რესურსების გათვალისწინებით, აგრეთვე კონტროლს გაუწევს ამ ღონისძიებათა შესრულებას;

— მონაწილეობას მიიღებს სახალხო მეურნეობის ახალი ობიექტების განლაგების, მოქმედის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გეგმათა პროექტ-

ტების, დარგობრივი სქემების, რაიონული დაგეგმარების სქემებისა და ქალაქების განვითარების გენერალური სქემების განხილვაში, გასცემს მათ გამადასკვნებს არსებული შრომითი რესურსებზე და მათი რაც შეიძლება სრული და რაციონალური გამოყენების გათვალისწინებით; განიხილავს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უმნიშვნელოვანესი ასამუშავებელი ობიექტებისა და მოქმედი საწარმოების უზრუნველყოფას კადრებით და საქირო შემთხვევებში გაუწევს მათ დახმარებას მუშახელით დაკომპლექტებაში;

— ორგანიზაციას გაუწევს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად მუშაობას იმისათვის, რათა გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, შეუთანხმდეთ დასაგეგმი პერიოდისათვის მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობის ლიმიტები;

— კონტროლს გაუწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობას შრომისა და მისი ანაზღაურების დარგში საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებისათვის;

— გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, სახელმწიფოებრივ კონტროლს გაუწევს მუშახელის გამოყენებას, მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობის შესაბამისობას შრომის გეგმასთან, კადრების დენადობის შემცირების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ახლად ასამოქმედებელი საწარმოების მუშათა კადრებით უზრუნველყოფას; წარუდგენს სამინისტროებს, უწყებებსა და საგეგმო ორგანოებს წინადადებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ;

— ორგანიზაციას გაუწევს და სრულყოფს მოსახლეობის შრომითს მოწყობას რესპუბლიკაში; გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე განახორციელებს საინფორმაციო-საცნობარო მუშაობას არსებული თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და ვაკანტური თანამდებობების შესახებ, მიიღებს ზომებს ამ მუშაობაში კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე საშუალებათა გამოყენებისათვის;

— კოორდინაციას გაუწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) მუშაობას ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის; საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად წარუდგენს სახალხო განათლების ორგანოებს ცნობებს მუშათა პროფესიებზე სახალხო მეურნეობის პერსპექტიული მოთხოვნილების შესახებ; მონაწილეობას მიიღებს შემდგომი სწავლების სახეობათა მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა დაგეგმვისა და განაწილებაში;

— შეისწავლის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის ტენდენციას; კონტროლს გაუწევს წარმოებაში



ახალგაზრდობის პროფესიული მომზადების ხარისხს, მის გამოყენებასა და დამკვიდრებას საწარმოებსა და ორგანიზაციებში; განაზოგადებს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის გამოცდილებას და გაუწევს მათ მეთოდურ დახმარებას ამ დარგში;

— შეიმუშავებს სამინისტროებთან და უწყებებთან, სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს მუშათა ორგანიზებული შეგროვების და მოსახლეობის გადასახლება-დასახლების გეგმათა პროექტებს;

— განახორციელებს მუშათა ორგანიზებულ შეგროვებას და მოსახლეობის გადასახლება-დასახლებას კადრებზე გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილების და მათ მისაღებად მზადყოფნის გათვალისწინებით, კონტროლს გაუწევს სამეურნეო ორგანოების მიერ იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომ შეუქმნან მუშებს სათანადო საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, აგრეთვე მისცენ მათთვის დაწესებული შეღავათები; სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებთან და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად განახორციელებს კონტროლს ჩასასახლებელი მოსახლეობისათვის აშენებული სახლების გამოყენებისადმი;

— განიხილავს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა წინადადებებს და მოამზადებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა დანერგვის პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებისათვის წინადადებებს, კონტროლს გაუწევს ამ გეგმების შესრულებას; კოორდინაციას გაუწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მისი ნორმირების დონის ამაღლებისა და სფეროს გაფართოების დარგში; კონტროლს გაუწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და ნორმირების სფეროს გაფართოების ღონისძიებათა განხორციელებას, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გამოყენებას, ცენტრალიზებული წესით შეიმუშავებული ნორმატივების დანერგვას, აგრეთვე შრომითი დანახარჯების მოქმედი ნორმების დროულად გადასინჯვას;

— კოორდინაციას გაუწევს მუშაობას და განახორციელებს კონტროლს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირების ცენტრების, ლაბორატორიების, სადგურების საქმიანობისადმი, წარუდგენს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადებებს ამ დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ;

— კონტროლს გაუწევს დამტკიცებული სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების, პრემიების სისტემის, სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარების, აგრეთვე შრომის ანაზღაურების პირობების მარეგლამენტაციული სხვა ნორმა-

ტული მასალების გამოყენების სისწორეს გაერთიანებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

— განახორციელებს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად კონტროლს შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობისადმი;

— განახორციელებს კონტროლს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში კადრების მომზადებისა და წარმოებაში მათი კვალიფიკაციის ამაღლების გეგმების შემუშავებისა და შესრულებისადმი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესაბამისად; განიხილავს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ შესათანხმებლად წარდგენილ იმ პროფესიათა ნუსხებს, რომლებშიც ხორციელდება მუშათა მომზადება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და წარმოებაში;

— განახორციელებს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დიპლომათა სპეციალისტთა გამოყენების სახელმწიფო ინსპექტირებას, კონტროლს გაუწევს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ატესტაციის ჩატარებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

— მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად მუშაობის პრაქტიკის შესწავლასა და განზოგადებაში, აგრეთვე იმ წინადადებათა მომზადებაში, რომელთა მიზანია შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების დაგეგმვის, სოციალური ფაქტორების გამოყენების, დემოგრაფიული პოლიტიკის გააქტიურების ღონისძიებათა ეფექტიანობის ამაღლება;

— შეისწავლის და განაზოგადებს შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების, მისი ნაყოფიერების გადიდების, შრომითი რესურსების გამოყენების, წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, სოციალისტური შეჯიბრების საქმეში დარგთაშორისი მნიშვნელობის მქონე მოწინავე გამოცდილებას, შეიმუშავებს წინადადებებს ამ გამოცდილების გავრცელებისათვის;

— განახორციელებს დადგენილი წესით კავშირურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნებთან იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება;

— მოაწიებს დადგენილი წესით საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის საქვეუწყებო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას.

5. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად და მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად უფლება ენიჭება:

— შეამოწმოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული გაერთიანებების, საწარმოების, დაწეს-

სებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობა; მიეცეს მათ შესასრულებლად საკვლევებლო მითითებანი შემოწმების დროს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხოლო საჭირო შემთხვევებში წარუდგინოს ზემდგომ ორგანოებს წინადადებანი იმის შესახებ, რომ დააკისრონ დისციპლინური პასუხისმგებლობა დაშვებული დარღვევებისათვის დამნაშავე ხელმძღვანელებსა და სხვა თანამდებობის პირებს; მიიზიდოს შემოწმებების ჩასატარებლად სამინისტროთა და უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სპეციალისტები;

— შეაჩეროს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა იმ ბრძანებებისა და ინსტრუქციების მოქმედება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან შრომისა და მისი ანაზღაურების კანონმდებლობას, ხოლო საჭირო შემთხვევებში წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მათი გაუქმების შესახებ, ამასთან აცნობოს ეს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს. სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა იმ ბრძანებებისა და სხვა ნორმატიული აქტების, შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან შრომისა და მისი ანაზღაურების კანონმდებლობას, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი შეატყობინებს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს;

— მოისმინონ კომიტეტის სხდომებზე საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშები და მოხსენებანი იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება;

— დაავალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს სამუშაოთა შესრულება შრომის პრობლემებზე, რაც საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება, მათთან შეთანხმებით მიიზიდოს ამ პრობლემების შესამუშავებლად გაერთიანებები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები, აგრეთვე მეცნიერები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები;

— მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან სტატისტიკური მონაცემები შრომისა და მისი ანაზღაურების, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციის შესახებ და სხვა საკითხებზე, აგრეთვე სამინისტროებისაგან, უწყებებისაგან, გაერთიანებებისაგან, საწარმოებისაგან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან — საჭირო მასალები, რომლებიც საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება;

— შეიტანოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით ცვლილებანი ორგანიზებული შეგროვების წესით მუშათა გაგზავნისა და მოსახლეობის გადასახლება-დასახლების გეგმებში;

— შეაჩეროს, ცალკეულ შემთხვევებში კი შეწყვიტოს დადგენილი წესით მუშათა გაგზავნა ორგანიზებულ შეგროვებით და მოსახლეობის გადასახლე-

ბა-დასახლება (მუშახელზე გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამატებითი მოთხოვნების უქონლობის, მუშებისა და გადასახლებაზე მოსახლეობის მისაღებად მათი მოუშვადებლობის, სახელმეკრულებო პირობების დაუცველობის გამო და ა. შ.), რის შესახებაც შემდგომ აცნობოს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) და რაიონული საბჭოების აღმასკომებს;

— სრულყოფილ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუშაობა, რომლის მიზანია მოსახლეობის ინფორმირება არსებული თავისუფალი სამუშაო ადგილების, ვაკანტური თანამდებობების და გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში შრომითი მოწყობის წესით სამუშაოდ მიღების, მუშათა ორგანიზებული შეგროვებისა და ოჯახების სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების პირობების შესახებ;

— მოიწვიოს დადგენილი წესით კონფერენციები, თათბირები და სემინარები, მოაწყოს გამოფენები შრომის ორგანიზაციის, მისი ნორმირების, შრომის პირობებისა და ანაზღაურების გაუმჯობესების, შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში მოწინავე გამოცდილების საჩვენებლად და სხვა საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება.

6. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტისა და მისი საქვეუწყებო დაწესებულება-ორგანიზაციების თანამდებობის პირებს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად უფლება აქვთ დაუბრკოლებლივ შევიდნენ დადგენილი წესით გაერთიანებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, დაათვალიერონ საწარმოო, სამსახურებრივი და საბინაო-საყოფაცხოვრებო სადგომები, გაეცნონ საანგარიშგებო, სტატისტიკურ და სხვა დოკუმენტებსა და მასალებს იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება.

7. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი განაზოგადებს მისი კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე რესპუბლიკაში განონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად წინადადებებს ამ კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ და წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ან სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს.

8. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი და მისი საქვეუწყებო დაწესებულება-ორგანიზაციები შედიან სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის ერთიან სისტემაში.

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს.

9. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი ხელმძღვანელობს მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროებისა და მისი საქვეუწყებო სხვა



დაწესებულება—ორგანიზაციების მუშაობას მუშათა ორგანიზებული შეგროვებისა და მოსახლეობის შრომითი მოწყობის დაგეგმვის, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კადრების შერჩევისა და კვალიფიკაციის ამაღლების დარგში, აგრეთვე საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებზე.

10. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებითა და განმარტებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

11. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი გამოსცემს მისი კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე ბრძანებებს, იღებს დადგენილებებსა და მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, ხოლო საჭირო შემთხვევებში იღებს დადგენილებებს, გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად.

12. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს მოქალაქეთა წერილების (წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების) დროულად და ყურადღებით განხილვას, ამასთან აღწევს ამ წერილებში აღძრული იმ საკითხების სწორად გადაწყვეტას, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება.

13. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი დადგენილი წესით შექმნის ვარდაქმნის და გააუქმებს მისთვის დაწესებული შრომის გეგმისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე დაამტკიცებს ამ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დებულებებს (წესდებებს).

14. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად დანიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, თავმჯდომარის მოადგილეები (თანამდებობის მიხედვით), რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, და კომიტეტის წევრები, რომლებსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მოვალეობებს გაანაწილებს კომიტეტის თავმჯდომარე.



15. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე სათავეში უდგას კომიტეტს და პერსონალურად პასუხისმგებელია კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, განსაზღვრავს თავმჯდომარის მოადგილეთა და კომიტეტის წევრთა, კომიტეტის სამმართველოების, განყოფილებების უფროსთა და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას მისი საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვამოსცემს ბრძანებებს და გაცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში შემავალი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

16. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი რეგულარულად მოწვეულ თავის სხდომებზე განიხილავს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მისი პრობლების, ორგანიზაციისა და ნორმირების გაუმჯობესების რეზერვების გამოვლენისა და გამოყენების, შრომითი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანი გამოყენების, მოსახლეობის შრომითი მოწყობის, მუშახელის განაწილებისა და გადანაწილების, წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისა და წარმოებაში დამკვიდრების საკითხებს, წყვეტს მისი კომპეტენციისათვის განკუთვნილ სხვა დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, აგრეთვე კადრების შერჩევას, განაწილებისა და აღზრდის, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საკითხებს.

17. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნება შრომის სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ექნება სექციები ცალკეული პრობლემების მიხედვით.

სამეცნიერო საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

18. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას, მუშაკთა რიცხოვნობასა და ხელფასის ფონდს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს დაამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე.

19. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

### 33 რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავ- ლეგლების სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის მდგომ- არამდგომარეობისა და მისი უმჯობესი გაუმჯობესების ღონისძიებათა უ- სასაზღვრო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ, ასრულებენ რა სკკპ X-XVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის საქმიანობის საკითხებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მქონე სამინისტროებს (უწყებებს), საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებს, გამომცემლობებსა და პოლიგრაფიის საწარმოებს, წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციებს, საბიბლიოთეკო კოლექტორებსა და ბიბლიოთეკებს გარკვეული მუშაობა აქვთ გაწეული რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები-თა და სასწავლო-მეთოდოლოგიური ლიტერატურით უფრო სრულად უზრუნველყოფისათვის.

ამის შედეგად უკანასკნელ წლებში რამდენადმე გაუმჯობესდა სტუდენტთა და მოსწავლეთა უზრუნველყოფა სასწავლო და სასწავლო-მეთოდოლოგიური ლიტერატურით მშობლიურ და რუსულ ენებზე. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო რესპუბლიკაში შემუშავებულმა სასწავლო ლიტერატურის გამოშვების პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის საფუძველზე მისი მომზადებისა და გამოცემის ცენტრალიზებულმა სისტემამ.

ასე, მაგალითად, 1981-1985 წლებში რესპუბლიკაში ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, სპარსულ, არაბულ, სხვა ენებზე გამოიცა 595 დასახელების ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო ლიტერატურა 7572 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახის მოცულობით 1399,2 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. ამავე პერიოდში გამოიცა 119 დასახელების სასწავლო-მეთოდოლოგიური ლიტერატურა 105 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. 1985 წლისათვის დაგეგმილია გამოიცეს 213 ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელო 3207 თაბახის მოცულობით 500,5 ათასი ცალი ტირაჟით და 41 დასახელების სასწავლო-მეთოდოლოგიური ლიტერატურა 166,5 თაბახის მოცულობით 31,4 ათასი ცალი ტირაჟით.

მცირე ტირაჟებით გამოცემული სასწავლო ლიტერატურის უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შემოიღო საპირო რაოდენობის ამ ლიტერატურით სასწავლებელთა ბიბლიოთეკების პირველ რიგში უზრუნველყოფის წესი.

ამავე დროს, თუ ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მონაცემების თანახმად, ძირითადად დაკმაყოფილებული არიან სასწავლო ლი-

ტერატურით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ზოგადსაგანმანათლებლო, ზოგად-მეცნიერულ და ზოგადტექნიკურ დისციპლინებში, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების უზრუნველყოფა მშობლიურ ენაზე ასეთი ლიტერატურით 15 პროცენტს არ აღემატება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო დროულად უზრუნველყოფს გამოსაცემი ლიტერატურის სათანადოდ გაფორმებული ხელნაწერების ჩაბარებას საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის გამომცემლობა „განათლებისათვის“, აღნიშნული გამომცემლობა წლითწლიობით ვერ ასრულებს საგეგმო დავალებებს და ამით სერიოზულ ზიანს აყენებს სასწავლო პროცესს, სპეციალისტთა მომზადების ხარისხს. ასე, მაგალითად, 1981-1984 წლებში გეგმით გათვალისწინებული 324 დასახელების ნაცვლად ფაქტიურად გამოიცა 210 (65,8 პროცენტი). გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთელი რიგი სტამბების უბაჟებისმგებლო დამოკიდებულება ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებში ქართულ სექტორზე სწავლობს შესაბამისად სტუდენტთა და მოსწავლეთა 80 და 90 პროცენტი. ეს გარემოება განაპირობებს გადაუდებელი ზომების მიღების აუცილებლობას გამოსაცემი სასწავლო და სასწავლო-მეთოდოლოგიური ლიტერატურის სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახების წლიური ლიმიტის გასაზღვრებლად და მისი დროული გამოცემის უზრუნველსაყოფად.

რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ვერ ასრულებს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთათვის სასწავლო და სასწავლო-მეთოდოლოგიური ლიტერატურის გამოცემის საგეგმო დავალებებს.

2. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა:

— დასახტოს და განახორციელოს ღონისძიებანი რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის სასწავლო ლიტერატურის დროული გამოცემის უცილობლივ უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით დეფიციტური წიგნების ტირაჟის გაზიდების გათვალისწინებით;

— უზრუნველყოს უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმებისათვის სასწავლო ლიტერატურის ბეჭდვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოთა პარალელურად, ამასთან გაითვალისწინოს სახელმძღვანელო-

ბის პირველ რიგში გამოცემა ტექნიკუმებისათვის, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებში (რობოტტექნიკა, მიკროპროცესორები, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება, ავტომატიზებული დაპროექტების სისტემები, მოქნილი ავტომატიზებული წარმოებანი, ბიოტექნოლოგია, გარემოს დაცვა);

— განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ მეთორმეტე ხუთწლედში გამომცემლობა „განათლების“ წლიური ლიმიტი გადიდდეს 2500 თაბახამდე უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმებისათვის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემის მიზნით;

— დააელოს წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციას „საჭეიფნს“, თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საბიბლიოთეკო კოლექტორებს განახორციელონ ღონისძიებანი იმისათვის, რათა ცენტრალური გამომცემლობების მიერ გამოცემული სასწავლო ლიტერატურით უფრო სრულად უზრუნველყონ უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები, პირველ რიგში ამ სასწავლებელთა ბიბლიოთეკები;

— უზრუნველყოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის გამოცემული სასწავლო ლიტერატურის პოლიგრაფიული შესრულების მაღალი დონე.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

— უზრუნველყოს ხელნაწერების დროულად და ხარისხიანად მომზადება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებას, მათს მეცნიერულ-თეორიულ და მეთოდოლოგიურ დონეს; უფრო ფართოდ შემოიღოს პრაქტიკაში ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების შედგენა ავტორთა კოლექტივების მიერ;

— მიიღოს ქმედითი ზომები ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების მოცულობის ოპტიმალურ ზომამდე შემცირებისათვის, გააფართოოს ცენტრალური გამომცემლობების მიერ გამოცემული იმ თარგმნილი სასწავლო და სასწავლო მეთოდოლოგიური ლიტერატურის გამოშვება, რომელიც მოწონებულია და რამდენჯერმე გამოიცა;

— უზრუნველყოს გამოსაცემა ლიტერატურის რეცენზირება მაღალ დონეზე; მიიღწიოს ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების პრინციპულ საჯარო განხილვას კათედრებზე, ფაკულტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბჭოებზე;

— განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ბიბლიოთეკების სრული უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობის სასკოლო სახელმძღვანელოებით.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გაითვალისწინოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სახელმძღვანელოებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარიძე**

ქ. თბილისი, 1985 წ. 7 ივნისი, № 391.

## 34 საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების თანდართული წესდება.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 28 ივნისის № 476 დადგენილება „საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარიძე**

ქ. თბილისი, 1985 წ. 13 ივნისი, № 405.

დამტკიცებულია  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1985 წლის 13 ივნისის № 405  
დადგენილებით

## საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების

### წ ე ს დ ე ბ ა

(მიღებულია საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების IX ყრილობის მიერ 1984 წლის 28 ივნისს)

#### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება ნებაყოფლობითი მასობრივი სამეურნეო, სამეცნიერო-საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და მიზნად ისახავს აქტიურ მონაწილეობას პარტიისა და მთავრობის საპროგრამო ამოცანების გადაწყვეტაში საქართველოს სსრ ბუნებრივი სიმდიდრის დაცვის, აღდგენისა და გონივრული გამოყენებისათვის.

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება თავის მუშაობას წარმართავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა, აგრეთვე ამ წესდების შესაბამისად.

2. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ძირითადი ამოცანებია:

ა) პრობაგანდა გაუწიოს საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს, სკკპ პროგრამის დებულებებს, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს გარემოს დაცვის საკითხებზე, ხელი შეუწყოს მშრომელებში რაციონალური ბუნებათსარგებლობის მეცნიერული თვალსაზრისისა და შეხედულებების დამკვიდრებას;

ბ) ჩააბას მოსახლეობის ფართო მასები ბუნების დაცვის საზოგადოების საქმიანობაში, შეაიარაღოს ისინი ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენებისა და აღდგენის ცოდნით, გაუღვივოს ბუნებისადმი სათუთი დამოკიდებულებისა და სიყვარულის გრძნობა.

გ) ხელი შეუწყოს საგამომგონებლო საქმიანობის განვითარებას ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და გარემოს დაცვის დარგში, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას სახალხო მეურნეობაში.

დ) შექმნას გეგმაზომიერად განვითარებული მეურნეობები და საზოგადოებრივი საწარმოები, რომელთა საქმიანობის მიზანი იქნება ტექნიკურ მეცნიერებათა მიღწევის რეალიზაცია, ბუნებრივი რესურსების აღდგენა და შენარჩუნება.

3. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება თავისი ამოცანების განსახორციელებლად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) ქმნის საზოგადოების ავტონომიურ-რესპუბლიკურ, ავტონომიურ-საოლქო, საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებს, აგრეთვე პირველადს ორგანიზაციებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციებში, დაწესებუ-



ლებებსა და საწარმოებში, სკოლებში, სხვა სასწავლებლებში; აერთიანებს აღნიშნულ დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოსახლეობის ფართო მასებს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წევრებად;

ბ) ამუშავებს წინადადებებს ბუნებრივი სიმდიდრის გონივრულად გამოყენებისა და საზოგადოების საქმიანობის სხვა საკითხების შესახებ და შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში;

გ) ხელმძღვანელობს რაციონალური ბუნებათსარგებლობის მთელ საზოგადოებრივ საქმიანობას და კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო და პროპაგანდისტულ მუშაობას ბუნების დაცვის დარგში რესპუბლიკის საზოგადოებრივ, სამეურნეო და სახელმწიფო ორგანიზაციებში;

დ) რაზმავს მოსახლეობის ფართო ფენებს, სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, ბუნებრივი სიმდიდრის დაცვის, რაციონალურად გამოყენების, აღდგენა-გამრავლების ღონისძიებათა განსახორციელებლად;

ე) წარმართავს პროპაგანდას საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების, ბუნების ცოდნის, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და გამრავლების, ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრის დაცვის შესახებ;

ვ) გამოსცემს კატალოგებს (მათ შორის ილუსტრირებულს), სარეკლამო პროსპექტებს, ბუკლეტებს, პლაკატებს, ბიბლიოგრაფიულ საძიებლებსა და სხვა საინფორმაციო-პროპაგანდისტულ ლიტერატურას რაციონალური ბუნებათსარგებლობის საკითხებზე; უკვეთავს დადგენილი წესით კინოფილმებს საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ამზადებს ფოტომხატვრულ ნაკეთობებს, სამკერდე ნიშნებს, ფერად სლაიდებს, ნაბეჭდ სუვენირებს და სხვ;

ზ) ეხმარება სასკოლო და სკოლისგარეშე ეკოლოგიური განათლების ყველა საშუალებით სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებს, სკოლებს, პროფტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებს, სხვა დაწესებულებებს ახალგაზრდობისათვის მშობლიური ბუნების სიყვარულის გრძნობის გაღვივებასა და ბუნებრივი სიმდიდრის სწორად გამოყენების ჩვევების გამომუშავებაში;

თ) ქმნის ბუნების დაცვის სახალხო უნივერსიტეტების ქსელს და ადგენს სწავლების სპეციალურ პროგრამას;

ი) აყალიბებს ბუნების დაცვის ლექტორიუმებსა და კინოლექტორიუმებს, ბუნების დაცვის მუზეუმებს, გამოფენებს;

კ) მართავს ბუნების დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილ შემოქმედებითი და სამეცნიერო ხასიათის შრომების კონკურსებს, აწყობს ოლიმპიადებს ეკოლოგიის საკითხებზე, შრომითს სემესტრებს ბუნების ძეგლების, დაცული ბუნებრივი ტერიტორიებისა და აღკვეთილების კეთილმოსაწყობად, მონაწილეობს „ტყის ერთთვიურის“, „ფრინველის დღის“, „ყვავილების დღესასწაულისა“ და სხვა მასობრივი ღონისძიებების განხორციელებაში;



ლ) კავშირს ამყარებს, საზოგადოების ამოცანების შესაბამისად, სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სამეცნიერო, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივი ღონისძიებების მოსამზადებლად და განსახორციელებლად;

მ) ქმნის სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოებს, სექციებს, საზოგადოებრივ კომიტეტებს, კლუბებს და სხვა საზოგადოებრივ ქვედანაყოფებს, რომლებიც საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამებიან;

ნ) იწვევს დადგენილ ვადებში თათბირებს, სემინარებს, კონფერენციებს, აწყობს სამეცნიერო-პრაქტიკულ ექსპედიციებსა და ლაშქრობებს; მართავს თემატურ საღამოებს, სამეცნიერო მოხსენებებს, საუბრებს, ლექციებს, თემატურ კინოსენსებს, შეხვედრებს, ექსკურსიებს ბუნების წიაღში, დათვალიერებებს, მონაწილეობს აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების სამეცნიერო-კვლევით და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ანალოგიურ ღონისძიებებში ბუნების დაცვისა და სხვა საკითხებზე;

ო) ქმნის დადგენილი წესით საწარმოებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან დანერგონ სახალხო მეურნეობაში პროგრესული ტექნოლოგია, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და აამაღლონ მათი ეფექტიანობა; კოორდინაციას უწევს ბუნებათსარგებლობის დარგში მომუშავე მეცნიერ-სპეციალისტთა საქმიანობას;

პ) ქმნის შვეკანე მშენებლობის მეურნეობებს, მერქნოვან-ბუჩქოვან, ნაყოფის მომცემ, კენკროვანთა და ყვავილთა სანერგეებს, ძვირფასი ჯიშის თევზების, სასარგებლო ნადირ-ფრინველის, სოკოების, ფუტკრისა და სხვათა მოსაშენებელ საცდელ-საწარმოო ბაზებს;

ჟ) ქმნის სანერგეებს, მალაზიებს, სახელოსნოებსა და სხვა საწარმოებს ბუნების დაცვის პროპაგანდის სამსახურების ჩამოსაყალიბებლად, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დასანერგავად, საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად; ახორციელებს მშენებლობას საზოგადოების საჭიროებისათვის;

რ) კოორდინაციას უწევს მუშაობას საქართველოს სსრ ცოცხალი და არაორგანული ბუნების ძეგლების გამოსავლენად და შესასწავლად, შეაქვს წინადადებანი მათი სახელმწიფო ბუნების ძეგლებად გამოცხადების შესახებ, აღრიცხავს ბუნების ძეგლებს და კონტროლს უწევს მათთვის დადგენილი რეჟიმის დაცვას;

ს) ახორციელებს საზოგადოებრივ კონტროლს ბუნებრივი სიმდიდრის სწორი გამოყენებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მდგომარეობისადმი;

ტ) სწავლობს, აზოგადებს და ავრცელებს ბუნების დაცვის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას;

უ) აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წევრებსა და ორგანიზაციებს შორის საზოგადოების ამოცანათა უკეთ შესრულების მიზნით.

4. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება, მისი რესპუბლიკური, ავტონომიური-რესპუბლიკური, ავტონომიურ-საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, აქვთ ბეჭედი საკუთარი სახელწოდებით.

5. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებას აქვს დროშა, ემბლემა და საზოგადოების წევრთათვის — სამკერდე ნიშანი, რომელთა ნიმუში მტკიცდება დადგენილი წესით.

6. რესპუბლიკური საბჭო უფლებამოსილია სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულები დააჯილდოსთ გარდამავალი წითელი დროშით, დიპლომითა და ფულადი პრემიებით.

გარდამავალი წითელი დროშისა და დიპლომების ნიმუშებს, ფულადი პრემიების ოდენობას ამტკიცებს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

## II. საზოგადოების წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

7. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წევრები შეიძლება იყვნენ:

ა) სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელთაც შეუსრულდათ 16 წელი, ცნობენ საზოგადოების წესდებას და მუშაობენ მის რომელიმე პირველადს ორგანიზაციაში.

**შენიშვნა:** მოსწავლეები, რომელთაც არ შესრულებიათ 16 წელი, შეიძლება გაერთიანდნენ პირველადს ორგანიზაციებთან არსებულ ბუნების ნორჩ მეგობართა ჯგუფებში, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

ბ) სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, სასწავლებლები, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (კოლექტიური წევრები).

8. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წევრებად იღებენ: სსრ კავშირის მოქალაქეებს — პირველადი ორგანიზაციები; სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, სასწავლებლებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (საზოგადოების კოლექტიურ წევრებს) — რაიონული, საქალაქო, ავტონომიურ-საოლქო, ავტონომიურ-რესპუბლიკური საბჭოების პრეზიდიუმები და რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

**შენიშვნა:** საზოგადოების წევრად მიღებაზე უარის შემთხვევაში საჩივარს განიხილავენ საზოგადოების შესაბამისი ზემდგომი ორგანოების საბჭოების პრეზიდიუმები.

9. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წევრი ვალდებულია:

ა) დადგეს აღრიცხვაზე და აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საქმიანობაში;

ბ) პროპაგანდა გაუწიოს საზოგადოების ამოცანებს, მოიზიდოს ახალი წევრები და ჩააბას ისინი ბუნების დაცვის საქმიანობაში, გაუფრთხილდეს და გონივრულად მოეკიდოს ბუნების სიმდიდრეს, მიიღოს ენერგიული ზომები, რათა არ დაირღვეს კანონი „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ“;

გ) შეასრულოს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნები, ყრილობების, კონფერენციების, რესპუბლი-



კური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომების, შეკრებების, საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებები და გადაწყვეტილებები;

დ) ყოველწლიურად გადაიხადოს საწევრო შესატანი.

**შენიშვნა:** საზოგადოების წევრი, რომელსაც ორი წლის მანძილზე არ გადაუხდია საწევრო შესატანი, გაირიცხება საზოგადოებიდან.

10. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს და გადამწყვეტი ხმის უფლებით ისარგებლოს საზოგადოების წევრთა კრებებსა და თათბირებზე; აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების ყრილობებისა და კონფერენციების, აგრეთვე საზოგადოების ხელმძღვანელ და სარევიზიო ორგანოებში დელეგატად;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების, სექციების, ბუნების დაცვის საზოგადოებრივი ინსპექციების, კომისიების, გამოფენების მუშაობაში; გამოაქვეყნოს საზოგადოების მიერ გამოსაცემ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ ლიტერატურაში მასალები, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს;

გ) შეიძინოს საზოგადოების ორგანიზაციებიდან დადგენილი წესით ნერგები, შხამქიმიკატები და სხვა საშუალებანი;

დ) კონსულტაცია მიიღოს ბუნების დაცვის საკითხებზე საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციათა საბჭოების პრეზიდიუმებსა და მათს სექციებში;

ე) შეიტანოს წინადადებანი ბუნების დაცვის საკითხებზე საზოგადოების ყველა ორგანოში;

ვ) გაიაროს კვალიფიკაციის ამაღლების ეკოლოგიური კურსები და ისარგებლოს საზოგადოებასთან არსებული დარგობრივი ბიბლიოთეკით.

11. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების კოლექტიური წევრები ვალდებული არიან:

ა) განმარტონ და პროპაგანდა გაუწიონ სკკპ პროგრამის დებულებებს, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს ბუნების დაცვის საკითხებზე, კანონს „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ“, აგრეთვე საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს;

ბ) შექმნან საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები და ჩააბან მათს საქმიანობაში მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები, მოსწავლეები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრები;

გ) განახორციელონ პრაქტიკული საქმიანობა ბუნების დასაცავად, ჩააბან მასში დაქვემდებარებული უწყებრივი ორგანიზაციები და ყოველნაირი დახმარება გაუწიონ საზოგადოებას ამ საქმიანობის წარმართვაში;

დ) შეიტანონ შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო შესატანები საზოგადოების შესაბამის ორგანიზაციებში საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიხრის მიხედვით.

**შენიშვნა:** საზოგადოების კოლექტიური წევრები შეიძლება განთავისუფლდნენ საწევრო შესატანის გადახდისაგან საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ან იმ ადგილობრივი ორგანიზაციის საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, რომელმაც მიიღო ისინი საზოგადოების კოლექტიურ წევრებად.

12. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების კოლექტიური წევრები უფლებამოსილნი არიან:

ა) გამოაყონ წარმომადგენელი საზოგადოების კონფერენციების, ყრილობებისა თუ სხვა ღონისძიებათა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად;

ბ) შეიტანონ წინადადებანი და ბუნების დაცვის საქმიანობაში დახმარებისა და თანადგომისათვის მიმართონ საზოგადოების ყველა ორგანიზაციას;

გ) წარადგინონ საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებში დასაჯილდოებლად საზოგადოების წევრები და ორგანიზაციები სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის;

დ) მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მიერ მოწყობილ ბუნების დაცვისადმი მიძღვნილ გამოფენებში, დათვლიერებებსა და მისობრივ ღონისძიებებში;

ე) წარგზავნონ თავიანთი მუშაეები — საზოგადოების წევრები — ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ორგანიზებულ კურსებზე ეკოლოგიური განათლების სრულსაყოფად;

ვ) შეიძინონ დადგენილი წესით საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ნერგები, სასუქი და ბუნების დაცვისათვის საჭირო სხვა მასალა.

13. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წევრებს ბუნების დაცვის საქმიანობაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიზანშეწონილია მიენიჭოთ საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების საპატიო წევრის წოდება, დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელითა და ფულადი პრემიით. საპატიო წოდებას ანიჭებს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

14. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წესდების დარღვევისათვის საზოგადოების წევრთა მიმართ შეიძლება მიღებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, საზოგადოების წევრობიდან გარიცხვის ჩათვლით. საზოგადოების წევრობიდან გარიცხვის გადაწყვეტილებას იღებენ პირველადი ორგანიზაციები, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — ადგილობრივ ორგანიზაციათა საბჭოების პრეზიდიუმები და საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი. მათი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საზოგადოების შესაბამის ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოში ყრილობის ჩათვლით.

### III. საზოგადოების მართვის ორგანოები

15. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელსაც იწვევს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო ზუთ წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე ყრილობის მოწვევა შეიძლება საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ინიციატივით, ან მაშინ, თუ მისი მოწვევის თანახმა იქნება რესპუბლიკური, ავტონომიურ-რესპუბლიკური, ავტონომიურ-საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების მესამედი.

16. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ყრილობის მოწვევის ვადას, წარმომადგენლობის ნორმებსა და მუშაობის დღის წესრიგს განსაზღვრავს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.



საზოგადოების ყრილობა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს არჩეული დელეგატების ნახევარი მაინც.

17. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ყრილობის დელეგატებს ირჩევენ ღია კენჭისყრით საზოგადოების რესპუბლიკურ, ავტონომიურ-რესპუბლიკურ, ავტონომიურ-საოლქო, საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციათა კონფერენციებზე.

18. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ყრილობა:

ა) ცვლის და სრულყოფს საზოგადოების წესდებას;

ბ) ირჩევს საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს, რომელიც ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობათა შორის პერიოდში. განსაზღვრავს რესპუბლიკური საბჭოს წევრთა რაოდენობას;

გ) ირჩევს საზოგადოების რესპუბლიკურ სარევიზიო კომისიას და განსაზღვრავს სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას;

დ) განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსა და რესპუბლიკური სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

ე) განიხილავს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მიერ შეტანილ საკითხებს.

19. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ყრილობაზე ყველა საკითხი წყდება ხმის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.

20. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს და რესპუბლიკური სარევიზიო კომისიის არჩევნები ხდება ღია კენჭისყრით.

არჩეულად ითვლებიან პირები, რომლებმაც კენჭისყრის დროს ხმების ნახევარზე მეტი მიიღეს.

21. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში წელიწადში ორჯერ იწვევს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პლენუმს.

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს რიგგარეშე პლენუმის მოწვევა ხდება საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით ან რესპუბლიკური საბჭოს წევრთა მესამედის მოთხოვნით.

22. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო:

ა) საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს, პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, მოადგილეს, პასუხისმგებელ მდივანსა და წევრებს იმ შემადგენლობით, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო;

ბ) ამტკიცებს საზოგადოების სამუშაო გეგმას და კონტროლს უწევს მის შესრულებას;

გ) იხილავს და ამტკიცებს საზოგადოების ხარჯთაღრიცხვას, რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ანგარიშს, საზოგადოების ორგანიზაციათა წინადადებებს;

დ) იწვევს საზოგადოების ყრილობას, ამზადებს ყრილობის მოხსენებებს, ანგარიშებს, დადგენილებათა პროექტებსა და სხვა მასალებს;

ე) იხილავს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის მიერ შემოტანილ სხვა საკითხებს.

23. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პლენუმზე ყველა საკითხი წყდება ღია კენჭისყრით, ხმის უმრავლესობით.

24. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა მისი პრეზიდიუმი, იგი არის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო რესპუბლიკური საბჭოს პლენუმებს შორის პერიოდში.

25. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი:

ა) შეიმუშავებს საზოგადოების წლიურ სამუშაო გეგმებს, ადგენს ხარჯთაღრიცხვებსა და ანგარიშებს;

ბ) წარმართავს მუშაობას საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად;

გ) ხელმძღვანელობს საზოგადოების რესპუბლიკური, ავტონომიურ-რესპუბლიკური, ავტონომიურ-საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების მუშაობას;

დ) ქმნის სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს, სექციებს, სხვა სტრუქტურულ ორგანოებს და ხელმძღვანელობს მათს მუშაობას;

ე) ამტკიცებს დებულებებსა და ინსტრუქციებს საზოგადოების საქმიანობის საკითხებზე;

ვ) ამუშავებს სამეცნიერო თემებს საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოსა და სექციების მეშვეობით, მონაწილეობს ექსპედიციებში, დადგენილი წესით მართავს სამეცნიერო-პრაქტიკულ თათბირებს, კონფერენციებს, აწყობს ექსკურსიებსა და საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;

ზ) ხელმძღვანელობს საზოგადოების საორგანიზაციო-მასობრივ და საავტოციო-პროპაგანდისტულ საქმიანობას;

თ) გამოსცემს ლიტერატურას ბუნების დაცვისა და საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, ანალოგიური ლიტერატურის გამოცემის ნებას რთავს საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებს, საგამომცემლო საქმის ორგანიზაციის მიზნით ქმნის სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს;

ი) ხელმძღვანელობს საზოგადოების ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას;

კ) ამტკიცებს რესპუბლიკური, ავტონომიურ-რესპუბლიკური, ავტონომიურ-საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების საბჭოების კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტებს, შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს, მუშაობის გეგმებს, მმართველობის აპარატის მუშაკთა რაოდენობის ლიმიტსა და მუშაკთა შენახვის ზღვრულ ასიგნებას, სტრუქტურასა და შტატებს, აგრეთვე საორგანიზაციო-მასობრივ და საავტოციო-პროპაგანდისტულ ღონისძიებათა გეგმებს საზოგადოებისათვის დადგენილ ფარგლებში;



ლ) მოქმედებს საზოგადოების სახელით, დებს ხელშეკრულებებს, ვაცემს მინდობილობებსა და ვალდებულებებს, ხსნის და ხურავს ანგარიშებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის შესაბამის ორგანიზაციებში და მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული წესდების ფარგლებში განაგებს საზოგადოების ქონებას;

მ) წარმომადგენლობს საზოგადოების სახელით ადმინისტრაციულ, სასამართლო, საარბიტრაჟო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

ნ) იწვევს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პლენუმებს, ამზადებს მოხსენებებს, ანგარიშებსა და სხვა მასალებს სხდომებისათვის;

ო) ამტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკურ, ავტონომიურ-რესპუბლიკურ, ავტონომიურ-საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების ბეჭდის, საწევრო ბილეთის ერთიან ფორმას, უზრუნველყოფს მათს დამზადება-დაგზავნას ცენტრალიზებული წესით;

პ) ახორციელებს შიდასაუწყებო რევიზიებს და ხელმძღვანელობს საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობას;

ჟ) ანიჭებს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, საწარმოებს იურიდიული პირის აქედან გამომდინარე ყველა უფლებას და ვალდებულებას;

რ) წყვეტს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს.

26. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური სარევიზიო კომისია:

ა) აირჩევა ყრილობის მიერ საზოგადოების წევრთაგან, რომლებიც არ შედიან საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოში, და ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

საზოგადოების რესპუბლიკური სარევიზიო კომისიის წევრებს უფლება არა აქვთ დაიკავონ საზოგადოების აპარატის საშტატო თანამდებობა;

ბ) თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს;

გ) ამოწმებს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, მის მიერ საშტატო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვას, აღრიცხვა-ანგარიშგებას, აპარატის საქმეთა შესრულების ვალდებსა და სისწორეს, უწევს მეთოდურ დახმარებას საზოგადოების ავტონომიურ-რესპუბლიკურ, რესპუბლიკური დაქვემდებარების საქალაქო და რაიონული საბჭოების სარევიზიო კომისიებს;

დ) ანგარიშს აბარებს ყრილობას, რევიზიისა და შემოწმების შედეგებს აცნობს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პლენუმს და პრეზიდიუმს.

საზოგადოების რესპუბლიკური სარევიზიო კომისიის წევრები რესპუბლიკური საბჭოს პლენუმისა და პრეზიდიუმის სხდომების მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.



27. თუ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს, რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკური სარევიზიო კომისიის წევრები ვერ გაამართლებენ ნდობას, შეიძლება გაყვანილ იქნენ ამ ორგანოებიდან.

რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ან რესპუბლიკური საბჭოს წევრის გაყვანის საკითხს წყვეტს რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი, ხოლო რესპუბლიკური სარევიზიო კომისიის წევრისა — საზოგადოების რესპუბლიკური სარევიზიო კომისიის სხდომა.

გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ან რესპუბლიკური სარევიზიო კომისიის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

#### IV. საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები

28. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები იქმნება:

ა) ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქ თბილისში, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონებში ავტონომიურ-რესპუბლიკური, ავტონომიურ-საოლქო, თბილისის საქალაქო, აგრეთვე რაიონული და საქალაქო ორგანიზაციები — საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ქალაქებსა და რაიონებში, აგრეთვე ქ. თბილისის რაიონებში — საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები — საზოგადოების ზემდგომი ორგანიზაციების საბჭოების პრეზიდიუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

29. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოებია ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში, აგრეთვე მათი დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონებში — ავტონომიურ-რესპუბლიკური, ავტონომიურ-საოლქო, საქალაქო და რაიონული კონფერენციები, რომლებიც იმართება 2-3 წელიწადში ერთხელ.

საბჭოებსა და სარევიზიო კომისიებს ირჩევენ კონფერენციებზე ღია კენჭისყრით, დადგენილი რაოდენობით, 2-3 წლის ვადით; შესაბამის საბჭოებსა და სარევიზიო კომისიებში იხილავენ და ამტკიცებენ ანგარიშებს, წყვეტენ სხვადასხვა საკითხს, რომლებიც საზოგადოების საქმიანობის სფეროში შედის.

ორგანიზაციათა საბჭოები ღია კენჭისყრით ირჩევენ პრეზიდიუმს, რომლის შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე, მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი და წევრები, სარევიზიო კომისია თავის შემადგენლობაში ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

30. თუ ბუნების დაცვის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციის საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრი ვერ გაამართლებს ნდობას, შეიძლება დაისვას საკითხი აღნიშნული ორგანოებიდან მისი გაყვანის შესახებ.

საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციის, საბჭოს და პრეზიდიუმის წევრის არსებული შემადგენლობიდან გაყვანის საკითხს წყვეტს შესაბამისი საბჭოს პლენუმი, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრისა — სარევიზიო კომისიის სხდომა.

გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ საბჭოს ან სარევიზიო კომისიის წევრთა ორი მესამედი ხმას მისცემს ამ გადაწყვეტილებას.

31. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ავტონომიურ-რესპუბლიკურ, ავტონომიურ-საოლქო, საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციათა კონფერენციები, საბჭოები, პრეზიდიუმები და სარევიზიო კომისიები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წესდების შესაბამისად.

32. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ავტონომიურ-რესპუბლიკური, ავტონომიურ-საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები მუშაობენ საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მითითებებითა და უშუალო ხელმძღვანელობით.

33. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები მუშაობენ შესაბამისი ზემდგომი ორგანოების მითითებითა და ხელმძღვანელობით (შესაბამისი ზემდგომი ორგანოები ამტკიცებენ მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვებს, ანგარიშებს, აღმინისტრაციულ-მმართველობითი პერსონალის რიცხოვნობას), საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად.

34. ფულადი დოკუმენტების ხელმოწერის წესს ადგენს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

35. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობას კონტროლს უწევენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები.

36. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები წყვეტენ თავიანთ არსებობას ორგანიზაციათა კონფერენციების დადგენილებებით, საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს. შესაბამისი მინისტრთა საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით. ადგილობრივ ორგანიზაციათა ლიკვიდაციის შემთხვევაში მათი ქონება გამოიყენება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

## V. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები

37. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების საფუძველია პირველადი ორგანიზაციები.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია იქმნება სამრეწველო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სატრანსპორტო საწარმოებში, საბინაო-საექსპლუატა-

ციო კანტორებსა და სხვა ორგანიზაციებში, თუ არის საზოგადოების 5 წევრი. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებს იურიდიული პირის უფლებები არა აქვთ.

მსხვილ სამრეწველო საწარმოებში (საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში), სასწავლებლებში, საჭიროების შემთხვევაში საზოგადოების ადგილობრივი (რაიონული, საქალაქო) საბჭოების პრეზიდიუმების ნებართვით შეიძლება შეიქმნას საამქროების, უბნების, განყოფილებების, ფაკულტეტების, ფერმების, ბრიგადებისა და სხვა პირველადი ორგანიზაციები.

ასეთ შემთხვევებში პირველადი ორგანიზაციის მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად იქმნება ბუნების დაცვის საქარხნო, საკოლმეურნეო, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა საბჭოები, რომლებსაც იურიდიული პირის უფლება არა აქვთ და ექვემდებარებიან საზოგადოების რაიონულ ან საქალაქო საბჭოს ორგანიზაციას.

38. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც იმართება საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ წელიწადში არანაკლებ 2-ისა. ყველა საკითხი კრებაზე წყდება ღია კენჭისყრით. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პირველადი ორგანიზაციის წევრთა ნახევარი მაინც.

ყოველდღიური მუშაობის წარსამართავად ის პირველადი ორგანიზაციები, რომელთა წევრების რაოდენობა აღემატება 15 კაცს, ღია კენჭისყრით ირჩევენ ბიუროს და საჭიროების შემთხვევაში სარევიზიო კომისიას 2-3 წლით.

ბიუროსა და სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს პირველადი ორგანიზაციის საერთო კრება.

პირველადი ორგანიზაციის ბიურო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მდივანსა და ხაზინადარს. სარევიზიო კომისია ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.

პირველადი ორგანიზაციის ბიუროსა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობიდან გასვლის საკითხს წყვეტს ორგანიზაციის საერთო კრება. ვადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს უჭერს კრების მონაწილე წევრთა ორი მესამედი მაინც.

საზოგადოების 15 წევრზე ნაკლები შემადგენლობის პირველადს ორგანიზაციებში საერთო კრება 2-3 წლის ვადით ირჩევს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარეს და ხაზინადარს.

39. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები მუშაობენ საზოგადოების ადგილობრივი საბჭოების პრეზიდიუმების ხელმძღვანელობით და თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობას წარმართავენ საზოგადოების ამოცანების განსახორციელებლად.

## VI. საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოები და სექციები

40. ბუნების დაცვის პრობლემების, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და აღდგენის საკითხების განსახილველად და შესამუშავებლად საზოგადოების რესპუბლიკური, ავტონომიურ-რესპუბლიკური და ავტონომიურ-

საოლქო საბჭოების პრეზიდიუმებთან იქმნება ბუნების დაცვის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოები, ხოლო საზოგადოების საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან — სამეცნიერო-ტექნიკური კომისიები. საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმთან შექმნილი სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო შედგება სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, სამინისტროების, უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან და უზრუნველყოფს მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო კავშირს ბუნების დაცვის დარგში.

41. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ და ადგილობრივ საბჭოებთან, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, იქმნება სექციები — მეცნიერული საფარის დაცვის, ბიოლოგიური რესურსების, ქალაქის გარემოს დაცვის, ნარჩენების უტილიზაციის, სოციოლოგიის, ცხოველთა სამყაროს, მიწისა და წილის, ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების, დეკორატიული მეზღვეობისა და მეყვავილეობის და სხვა.

სექციები წარმოადგენენ ადგილობრივი საბჭოების პრეზიდიუმების საორგანიზაციო-მეთოდურ ორგანოებს და მუშაობენ საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად.

42. ბუნების დაცვის ღონისძიებებში ახალგაზრდობის ჩასაბმელად საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანიზაციების საბჭოებთან იქმნება ახალგაზრდობასთან მუშაობის მეთოდური საბჭოები.

ახალგაზრდობასთან მუშაობის მეთოდური საბჭოს დებულებას შეიმუშავენ და ამტკიცებენ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს ალკვ ცენტრალურ კომიტეტთან და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

## VII. საზოგადოების სახსრები

43. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების სახსრები შედგება:

ა) შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო შენატანებისაგან;

ბ) საწარმოო, სავაჭრო, სავაჭრო-სავაჭრო და სხვა საქმიანობით მიღებულ შემოსავლისაგან;

გ) საზოგადოების კუთვნილი ქონებისაგან მიღებული შემოსავლისაგან.

44. საზოგადოების წევრად გახდომისას ინდივიდუალურ წევრს შეაქვს შესასვლელი შესატანი 10 კაპიკი, მოსწავლეს — 5 კაპიკი; ინდივიდუალური წევრის ყოველწლიური საწევრო შესატანია 60 კაპიკი, მოსწავლისა — 10 კაპიკი. კოლექტიურ წევრთა ყოველწლიური საწევრო შესატანია 10 მანეთი და მეტი, ხოლო შესასვლელი შესატანი — 10 მანეთი.

45. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები საწევრო შესატანის მთელ თანხას გადაურიცხავენ საზოგადოების რაიონულ და საქალაქო საბჭოებს, ხოლო შესასვლელი შესატანი მათ განკარგულებაში რჩება.

საზოგადოების რაიონული და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმები ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გამოყოფენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების აქტივის პრემირებისა და მატერიალური დახმარებისათვის საჭირო სახსრებს.

46. რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებსა და ქალაქებში საზოგადოების რაიონულ და საქალაქო საბჭოებს პირველადი ორგანიზაციებისაგან მიღებული საწევრო შესატანის მთლიანი თანხიდან თავიანთ განკარგულებაში რჩებათ ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

პირველადი ორგანიზაციებისაგან შემოსული თანხის დარჩენილ ნაწილს რაიონული და საქალაქო საბჭოები მთლიანად გადაურიცხავენ საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ადგილობრივი საბჭოების საგანმანათლებლო საქმიანობის, აქტივის პრემირებისა და შტატიან თანამშრომელთა მატერიალური დახმარებისათვის აგრეთვე ამ საბჭოებში შემავალი პირველადი ორგანიზაციების საქმიანობისათვის საჭირო სახსრები გათვალისწინებულია რაიონული და საქალაქო საბჭოების ხარჯთაღრიცხვაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

47. საზოგადოების რაიონულ და საქალაქო (ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს დაქვემდებარებულ რაიონებსა და ქალაქებში) საბჭოებს, აგრეთვე თბილისის რაიონულ საბჭოებს პირველადი ორგანიზაციებისაგან მიღებული საწევრო შესატანების მთლიანი თანხიდან თავიანთ განკარგულებაში რჩებათ მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრულია შემდგომი ორგანიზაციების საბჭოების პრეზიდიუმების მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით:

ა) ავტონომიურ-რესპუბლიკური, ავტონომიურ-საოლქო დაქვემდებარების რაიონული და საქალაქო საბჭოები, აგრეთვე თბილისის რაიონული საბჭოები პირველადი ორგანიზაციებისაგან შემოსულ დანარჩენ თანხას მთლიანად გადაურიცხავენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის საბჭოებსა და თბილისის საქალაქო საბჭოს;

ბ) საზოგადოების ადგილობრივი საბჭოების საგანმანათლებლო-პროპაგანდისტული საქმიანობის, აქტივის პრემირებისა და შტატიან თანამშრომელთა მატერიალური დახმარებისათვის, აგრეთვე ამ საბჭოებში შემავალი პირველადი ორგანიზაციების საქმიანობისათვის საჭირო სახსრები გათვალისწინებულია ავტონომიურ-რესპუბლიკური და ავტონომიურ-საოლქო დაქვემდებარების, რაიონული და საქალაქო საბჭოების, აგრეთვე თბილისის რაიონული საბჭოების ხარჯთაღრიცხვაში, რომელსაც შესაბამისად ამტკიცებენ საზოგადოების ავტონომიურ-რესპუბლიკური, ავტონომიურ-საოლქო და თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმები.

48. საზოგადოების ავტონომიურ-რესპუბლიკური, ავტონომიურ-საოლქო და თბილისის საქალაქო საბჭოები მათი დაქვემდებარების რაიონული და საქალაქო საბჭოებისაგან შემოსული საწევრო შენატანის 25 პროცენტს ურიცხავენ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს, დარჩენილი თანხა მათ რჩებათ ამ წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის, მატერიალური დახმარებისა და საპრემიო ფონდის შესაქმნელად, საწარმოო, სამეურნეო, სავაჭრო და სხვა საქმიანობისათვის.

49. მიზნობრივი ფონდების წარმოქმნა და გამოყენება წარმოებს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესით.

50. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების საწარმოო, სავაჭრო და სხვა სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი ნაწილდება საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესით.

51. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებისა და რესპუბლიკური საბჭოს მთელი ფულადი სახსრები ინახება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის შესაბამის დაწესებულებებში.

### VIII. საზოგადოების ანგარიშგება

52. საბუღალტრო ანგარიშგება და ბალანსებს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში დადგენილი წესით წარმოადგენენ საზოგადოების რაიონული, საქალაქო, ავტონომიურ-საოლქო და ავტონომიურ-რესპუბლიკურ ორგანიზაციათა საბჭოების პრეზიდიუმები.

წლიურ კრებისთვის საბუღალტრო ანგარიშსა და ბალანსს ამტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.

### IX. საზოგადოების ლიკვიდაციის წესი

53. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება წყვეტს არსებობას:

ა) საზოგადოების ყრილობის დადგენილებით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

54. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ მთელი მისი ქონება გამოიყენება საქართველოს სსრ სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.



## 35 საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წინადადებას და მათთან შეთანხმებით დადგენილ დამტკიცებულ საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წესდებაში შემდეგი დამატებანი:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის წინადადება და შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 იანვრის № 12 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წესდებაში შემდეგი დამატებანი:

1. პირველი განაყოფის მე-4 პუნქტის ბოლო აბზაცში სიტყვებს — „სამრეწველო საწარმოებს“ — დამატოს სიტყვები: „და მალაზიებს საზოგადოების მიერ გამოშვებული პროდუქციის სარეალიზაციოდ“.

2. პირველი განაყოფის მე-4 პუნქტს დამატოს შემდეგი შინაარსის ახალი აბზაცი:

— გადაანაწილებს წლიური ანგარიშების მიხედვით დაქვემდებარებულ სამრეწველო საწარმოთა ქარბ საკუთარ საბრუნავ სახსრებს და შეავსებს იმ საწარმოთა საბრუნავ სახსრებს, რომლებსაც ნაკლებობა აქვთ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 13 ივნისი, № 407

## 36 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი სრულყოფის და მშენებლობაში ექსპერტიზისა და სააეტორო ზედამხედველობის როლის ამაღლების შესახებ

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი სრულყოფის, მშენებლობაში ექსპერტიზისა და სააეტორო ზედამხედველობის როლის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 28 იანვრის № 96 დადგენილება „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი სრულყოფის და მშენებლობაში ექსპერტიზისა და სააეტორო ზედამხედველობის როლის ამაღლების შესახებ“ (თან ერთვის).

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დემუტატთა საბჭოების



აღმასკომებმა, საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო-კვლევითმა, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურმა ორგანიზაციებმა:

— განახორციელონ დაპროექტების ხარისხის ძირეული გაუმჯობესების, პროექტებში პროგრესული ტექნოლოგიების, მოწყობილობის, მასალებისა და კონსტრუქციების, წარმოების, შრომისა და მართვის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების ფართო გამოყენების ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს მათს შესაბამისობას მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებთან ობიექტების ამოქმედების დროისათვის;

— გააფართოონ პროგრესული მეთოდებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა გამოყენება საპროექტო სამუშაოთა შესრულებისას;

— განავითარონ შემოქმედებითი თანამეგობრობა საპროექტო ინსტიტუტების, შემკვეთი სამინისტროებისა და უწყებების და საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების კოლექტივებს შორის.

3. დაწესდეს, რომ საპროექტო და საძიებო ორგანიზაციათა საქმიანობის შეფასების და მათ მუშაკთა სტიმულირების ძირითადი კრიტერიუმია საპროექტო ობიექტების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური დონის უზრუნველყოფა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება და მატერიალური რესურსების ხარჯვის შემცირება მათი მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წილისა და ობიექტების ღირებულების შემცირება, საქალაქთმშენებლო და არქიტექტურულ-საგემარებელ გადაწყვეტილებათა ხარისხის გაუმჯობესება.

ობიექტების მშენებლობის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის დამამტკიცებელ მასალებში, პროექტებსა და საექსპერტო დასკვნებში მოყვანილ უნდა იქნეს მონაცემები იმის შესახებ, რომ მიღებული ტექნოლოგიები, მოწყობილობა, სამშენებლო გადაწყვეტილებანი, წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია შეესაბამება სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, პროგრესულ ხედრითს მაჩვენებლებს.

ამ მიზნით საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დებუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სამეცნიერო-კვლევითმა, საპროექტო-საძიებო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ:

— ტექნოლოგიური დაპროექტების დარგში — წარმოების მაღალეფექტიანი პროცესების, მცირენარჩენიანი და რესურსდამზოგველი ტექნოლოგიის, კომპლექსური მექანიზაციის, ავტომატური ხაზების, სამრეწველო რობოტების, მოქნილი ავტომატიზებული სისტემებისა და სხვა პროგრესული მოწყობილობის ფართო გამოყენება, აგრეთვე მათი მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების ზრდა;

— სამშენებლო დაპროექტების დარგში — მშენებლობის მასალატევადობის, შრომატევადობისა და ღირებულების, მისი ხანგრძლივობის შემცირება,

შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციული გადაწყვეტის მაღალი ტექნოლოგიურობის, პროგრესული ნაკეთობებისა და მასალების, გამსხვილებული სამონტაჟო ბლოკების, მაღალი საქარხნო მზადყოფნის კონსტრუქციებისა და მშენებლობის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვის ხარჯზე;

— არქიტექტურულ და საქალაქთმშენებლო გადაწყვეტილებათა მაღალ დონის პროექტების შემუშავება, რომლებიც ითვალისწინებენ მომუშავეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას სამრეწველო ესტეტის უკანასკნელ მიღწევათა შესაბამისად, საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების დაგეგმარების სრულყოფისა და ხარისხის ამაღლების, აგრეთვე კულტურულ-მასობრივი მუშაობის განსახორციელებლად საუკეთესო პირობების შექმნის აუცილებლობას.

აიკრძალოს პროექტებში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების შეუსაბამო ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობის გამოყენება.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ მკაცრი კონტროლი ამ მოთხოვნის დაცვისადმი.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ, რომ:

— შეიტანონ ხუთწლიანი გეგმების შემადგენლობაში მორიგ და მომდევნო ხუთწლედებში დასაპროექტებელი იმ ობიექტების ნუსხები, რომლებშიც გამოყენებულ იქნება ახალი ტექნოლოგიური პროცესები, აგრეთვე დამუშავების, კონსტრუირებისა და დამზადების ხანგრძლივციკლიანი მანქანები და მოწყობილობა;

— შეიმუშაონ და დაამტკიცონ მანქანათმშენებელ სამინისტროებთან ერთად ზემოაღნიშნული ობიექტებისათვის სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო და საპროექტო სამუშაოთა შესრულების კომპლექსური გეგმა-გრაფიკები, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ასეთი ობიექტების მშენებლობის პროექტების შემუშავება უნდა ხორციელდებოდეს მანქანებისა და მოწყობილობის დამტკიცებული ტექნიკური პროექტების საფუძველზე;

— პირველ რიგში გამოუყონ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ლიმიტბა საწარმოებს, რომლებშიც გათვალისწინებულია რეკონსტრუქცია ან ტექნიკური კვლავადჭურვა, აგრეთვე შეიტანონ აღნიშნული სამუშაოები საპროექტო ორგანიზაციათა გეგმებში;

— თავი მოუყარონ შესაბამისი პროექტების დამუშავებას სპეციალიზებულ საპროექტო ორგანიზაციებში.

5. დეველოთ საქართველოს სსრ სახმშენს, სამინისტროებსა და უწყებებს:

— გადასინჯონ 1985 წელს მოქმედი ტიპობრივი პროექტების ნუსხა და ტიპობრივ სამშენებლო კონსტრუქციათა და ნაკეთობათა კატალოგები, ამასთან ამოიღონ იქიდან დადგენილი წესით მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების შეუსაბამო პროექტები, კონსტრუქციები და ნაკეთობანი;

— უზრუნველყონ საბინაო სამოქალაქო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ეკონომიური ზონალური ტიპობრივი პროექტების შემუშავება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით;

— შეიმუშაონ ტიპობრივი პროექტები, როგორც წესი, საკონკურსო საფუძველზე და დაამტკიცონ ისინი დადგენილი წესით ექსპერტიზის და სამინისტროს, უწყების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს ან კოლეგიის მიერ განხილვის შემდეგ.

6. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— უზრუნველყონ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სწორი განსაზღვრა და მისი ზუსტი დაცვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების, დაგეგმვისა და წარმოების პროცესში.

ამ მიზნით დაწესდეს პერსონალური პასუხისმგებლობა:

— საპროექტო ორგანიზაციათა შესაბამისი მუშაკებისა — მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების, ასამუშავებელი კომპლექსების შემადგენლობისა და სამუშაოთა შესრულების რიგითობის სწორი განსაზღვრისათვის.

საპროექტო ორგანიზაციათა მიზეზით მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადიდებისას ჩამოერთვათ მთლიანად ან ნაწილობრივ პრემიები პროექტების მთავარ ინჟინრებს (მთავარ არქიტექტორებს), ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და სხვა დამნაშავე პირებს;

— საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკებისა — კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვის, საიჯარო ხელშეკრულებათა დადებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დროს ობიექტების მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმატიული ვადების დაცვისათვის.

მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადიდებისას განიხილონ ეს საკითხები, მათ შორის კოლეგიების, აღმასკომების სხდომებზეც, და მიიღონ მკაცრი ზომები დამნაშავე პირთა მიმართ;

— გააძლიერონ საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი საავტორო ზედამხედველობის განხორციელებისათვის;

— შეიმუშაონ და დაამტკიცონ, მოყოლებული 1986 წლიდან, საპროექტო-საძიებო სამუშაოთა უწყვეტი ორწლიანი თემატიკური გეგმები;

— საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციებისათვის საგეგმო დავალებათა დაგზავნისას დაიტოვონ რეზერვი სამუშაოთა მოცულობის, ხელფასის ფონდი-

სა და მატერიალური წახალისების ფონდის 5 პროცენტამდე ოდენობით, ამასთან უფლება მიეცეთ გამოიყენონ იგი მთელი დაგეგმილი პერიოდის განმავლობაში;

— ამაღლონ საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციათა პროექტების შთავარ ინჟინერთა და შთავარ არქიტექტორთა როლი, რომლებიც უნდა აგებდნენ პასუხს მშენებარე საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების ტექნიკურ-ეკონომიკური დონისა და არქიტექტურული გადაწყვეტისათვის, პროექტების ხარისხისა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სწორი განსაზღვრისათვის. აგრეთვე საწარმოების მიერ საპროექტო მაჩვენებლების დაწესებულ ვადებში მიღწევისათვის, ამასთან გააძლიერონ ინსტიტუტების მუშაკთა პასუხისმგებლობა საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი სავტორო ზედამხედველობის განხორციელებისათვის.

7. პროექტების ექსპერტიზის ხარისხის ამაღლების მიზნით დავევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს:

— განამტკიცონ საექსპერტო ქვედანაყოფები კვალიფიციური კადრებით, ამასთან დაუქვემდებარონ ისინი, როგორც წესი, მინისტრს, უწყების ზელმძღვანელს ან მათს პირველ მოადგილეს;

— განიხილონ დიდ და რთულ მშენებლობათა პროექტები სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიათა სხდომებზე, აგრეთვე უზრუნველყონ მკაცრი კონტროლი საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული პროექტების ხარისხისადმი;

— სისტემატურად განიხილონ პროექტების ექსპერტიზისა და მათი ხარისხისადმი კონტროლის შედეგები და მიიღონ ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ სახმშენმა გააძლიეროს კონტროლი სამინისტროებისა და უწყებების მიერ განხორციელებული ექსპერტიზის ხარისხისადმი.

საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყონ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებებისა და პროექტების (სამუშაო პროექტების) ექსპერტიზის განხორციელებისას კონტროლი საწარმოო დანიშნულების ობიექტების, საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და გარემოს დაცვის ობიექტების მშენებლობის საკითხთა კომპლექსური გადაწყვეტისადმი.

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 28 იანვრის № 96 დადგენილების მე-15 პუნქტის შესაბამისად დავევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში საექსპერტო ქვედანაყოფის შექმნის დაჩქარების, აგრეთვე საპროექტო-საძიებო სამუშაოთა განყოფილებისათვის საშტატო ერთეულების რაოდენობის გადიდების შესახებ.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გაითვალისწინონ გეგმებში, მოყოლებული 1986 წლიდან, რესპუბლიკის საპროექტო-საძიებო ორგანიზაციებისათვის მაღალმწარმოებლური მოწყობილობის, გეოფიზიკური და ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტის მიწოდების გადართობა სსრ კავშირის სახმშენის მიერ განსაზღვრული ნომენკლატურის მიხედვით.

10. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსთვისაც კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— ორი კვირის ვადაში ჩაატარონ დაუმთავრებელ მშენებლობაში რიცხული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ინვენტარიზაცია და მიიღონ დადგენილი წესით საჭირო გადაწყვეტილებანი მოქველებული და ისეთი დოკუმენტაციის შესახებ, რომელიც დასახული არაა მეთორმეტე ხუთწლედში გამოსაყენებლად.

გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ წარუდგინონ 1985 წლის 1 ივლისამდე ინფორმაცია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმშენსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს;

— მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რათა არ დაუშვან მომავალში ისეთი ობიექტების დაპროექტება, რომელთა მშენებლობა გათვალისწინებული არ არის ხუთწლიანი გეგმით და უზრუნველყოფილი არაა დაფინანსებით, დადგენილი წესის შესაბამისად.

11. საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ და წარმოადგინონ მიმდინარე წლის მეორე კვარტალის ბოლომდე შემდგომ სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შესათანხმებლად გაგზავნის მიზნით (ხოლო საინჟინრო-გეოდეზიური კვლევა-ძიების ნაწილში — აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოსთან შესათანხმებლად) ნუსხები:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო ორგანიზაციებისა, რომლებიც ახორციელებენ კომპლექსურ დაპროექტებას, პროექტების სპეციალური განაყოფების შემუშავებას, საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების დაპროექტებას და მშენებლობის საინჟინრო კვლევა-ძიებას.

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანიზაციათა და საწარმოთა საპროექტო-საკონსტრუქტორო კანტორებისა, ბიუროებისა და სხვა ქვედანაყოფებისა, რომლებსაც უფლება აქვთ შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 მარტის № 312 დადგენილების 35-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, აგრეთვე არართულ შენობა-ნაგებობათა ტიპობრივი პროექტების სამშენებლო მოედნებისათვის მისადაგებასთან დაკავშირებული საპროექტო სამუშაოები, იმ

კარაულით, რომ უცილობლივ დააცვან დაპროექტებისა და მშენებლობის მოქმედი ნორმები და წესები.

სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა არ დააფინანსონ მშენებლობა იმ ორგანიზაციების მიერ ზემოაღნიშნული ნუსხების დამტკიცების შემდეგ შემუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, რომლებიც მათში არ არიან გათვალისწინებული.

12. სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, რომ მენაშენებებმა წარუდგინონ მშენებლობაში გამოუყენებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობის გაშიფვრები, გამოიყენონ დამრღვევთა მიმართ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

13. საქართველოს სსრ მოიჯარე სამინისტროებმა და უწყებებმა წარმოუდგინონ საჭიროების კვალობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მშენებლობის მთავარი ტერიტორიული სამმართველოებისა და მსხვილი სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტების შემადგენლობაში შეიქმნას ქვედანაყოფები შესათანხმებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განსახილველად, აგრეთვე სამშენებლო გადაწყვეტილებათა სრულყოფისა და კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე მშენებლობის ორგანიზაციის შესახებ წინადადებათა შესამუშავებლად.

ზემოაღნიშნული ქვედანაყოფები იქმნება სამინისტროებისა და უწყებებისათვის დაწესებული მუშაკთა საერთო რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

14. საპროექტო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა:

— განახორციელონ ღონისძიებანი პროექტების მთავარ ინჟინერთა და მთავარ არქიტექტორთა როლის ასამაღლებლად, რომლებიც უნდა აგებდნენ პასუხს მშენებარე საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების ტექნიკურ-ეკონომიკური ღონისა და არქიტექტურული გადაწყვეტისათვის, პროექტების ხარისხისა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სწორი განსაზღვრისათვის, აგრეთვე საწარმოების მიერ საპროექტო მაჩვენებლების დაწესებულ ვადებში მიღწევისათვის;

— გააძლიერონ ორგანიზაციების მუშაკთა პასუხისმგებლობა საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისადმი საავტორო ზედამხედველობის განხორციელებისათვის.

15. საქართველოს სსრ სახმშენმა მოამზადოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა დანერგვის გზით საპროექტო გადაწყვეტილებათა ტექნიკური ღონის შემდგომი ამაღლების შესახებ.

16. საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს არა უკვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის აპრილისა მონაცემები დარგებისა და მენაშენეთა მიხედვით დაუშთაურებელი მშენებლობის შემადგენლობაში საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მოცულობის შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა



საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს გამოყოფით.

ამასთან დაკავშირებით დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, მშენებარე ობიექტების დირექციებსა და სხვა მენაშენებს წარადგინონ კაპიტალური მშენებლობის წლიურ ანგარიშებთან ერთად მონაცემები დაუმთავრებელ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა შესახებ, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმისა და მაჩვენებლების მიხედვით.

17. დაწესდეს, რომ სატიტულო სიების წარდგენას, საპროექტო-საძიებო სამუშაოების შემკვეთთა ფუნქციებს და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ლიმიტების დაცვას საქართველოს სსრ სახელმწიფო საეკგმო კომიტეტში როგორც მიმდინარე დაპროექტების, ისევე მომავალი წლების მშენებლობის ობიექტების დაპროექტების ხაზით ახორციელებენ მენაშენე სამინისტროები და უწყებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე**

ქ. თბილისი, 1985 წ. 28 ივნისი, № 433.



## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

### დადგენილება № 96

1985 წლის 28 იანვარი

მოსკოვი, კრემლი

**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი სრულყოფისა და მშენებლობაში ექსპერტიზისა და საავტორო ზედამხედველობის როლის ამაღლების შესახებ**

„კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 აპრილის № 387 დადგენილების შესაბამისად და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი სრულყოფის, მშენებლობაში ექსპერტიზისა და საავტორო ზედამხედველობის როლის ამაღლების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საპროექტო, საძიებო, სამეცნიერო-კვლევითმა, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურმა ორგანიზაციებმა განახორციელონ დაპროექტების ხარისხის ძირეული გაუმჯობესების, პროექტებში პროგრესული ტექნოლოგიების, მოწყობილობის, მასალებისა და კონსტრუქციების, წარმოების, შრომისა და მართვის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების ფართო გამოყენების ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს მათს შესაბამისობას მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებთან ობიექტების ამოქმედების დროისათვის.

2. დაწესდეს, რომ საპროექტო და საძიებო ორგანიზაციათა საქმიანობის შეფასების და მათ მუშაკთა სტიმულირების ძირითადი კრიტერიუმია საპროექტო ობიექტების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური დონის უზრუნველყოფა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება და მატერიალური რესურსების ხარჯვის შემცირება მათი მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წილისა და ობიექტების ღირებულების შემცირება, საქალაქო-მშენებლო და არქიტექტურულ-საგვეგმარებელ გადაწყვეტილებათა ხარისხის გაუმჯობესება.

ობიექტების მშენებლობის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის დამასაბუთებელ მასალებში, პროექტებსა და საექსპერტო დასკვნებში მოყვანილ უნდა იქნეს მონაცემები იმის შესახებ, რომ მიღებული ტექნოლოგიები, მოწყობილობა, სამშენებლო გადაწყვეტილებანი, წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია შეესაბამება სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, პროგრესულ ხედვრითს მაჩვენებლებს.

ამ მიზნით სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სამეცნიერო-კვლევითმა და საპროექტო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ:

ტექნოლოგიური დაპროექტების დარგში — წარმოების მაღალეფექტიანი პროცესების, მცირენარჩენიანი და რესურსდამზოგველი ტექნოლოგიის, კომპლექსური მექანიზაციის, ავტომატური ხაზების, სამრეწველო რობოტების, მოქნილი ავტომატიზებული სისტემებისა და სხვა პროგრესული მოწყობილობის ფართო გამოყენება, აგრეთვე მათი მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების ზრდა;

სამშენებლო დაპროექტების დარგში — მშენებლობის მასალატევადობის, შრომატევადობისა და ღირებულების, მისი ხანგრძლივობის შემცირება შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციული გადაწყვეტის მაღალი ტექნოლოგიურობის, პროგრესულა ნაკეთობებისა და მასალების, გამსხვილებული სამონტაჟო ბლოკების, მაღალი საქარხნო მზადყოფნის კონსტრუქციებისა და მშენებლობის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვის ხარჯზე.

პროექტების შემუშავებისას უზრუნველყონ არქიტექტურულ და საქალაქმშენებლო გადაწყვეტილებათა მაღალი დონე, გაითვალისწინონ მომუშავეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება სამრეწველო ესთეტიკის უკანასკნელ მიღწევათა შესაბამისად, საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების დაგეგმარების სრულყოფისა და ხარისხის ამაღლების, აგრეთვე კულტურულ-მასობრივი მუშაობის განსახორციელებლად საუკეთესო პირობების შექმნის აუცილებლობა.

აიკრძალოს პროექტებში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების შეუსაბამო ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობის გამოყენება. სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ მკაცრი კონტროლი ამ მოთხოვნის დაცვისადმი. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმშენმა ყოველწლიურად მოახსენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დანიშნულ საწარმოთა და ობიექტების მშენებლობის პროექტების ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ზომებს იღებენ დაპროექტების ხარისხის შემღგომი ამაღლებისათვის.

3. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

დაამტკიცონ ლუიწლიანი გეგმების შემადგენლობაში მორიგ და მომდევნო ხუთწლიანებში დასაპროექტებელი იმ ობიექტების ნუსხები, რომლებშიც გამოყენებულ იქნება ახალი ტექნოლოგიური პროცესები, აგრეთვე დამუშავების, კონსტრუქციებისა და დამზადების ხანგრძლივობის მანქანები და მოწყობილობა;

შეიმუშაონ და დაამტკიცონ მანქანათმშენებელ სამინისტროებთან ერთად შემოადინებული ობიექტებისათვის სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო

და საპროექტო სამუშაოთა შესრულების კომპლექსური გეგმა-გრაფიკები, ამასთან შედეგობაში ჩქარონ, რომ ასეთი ობიექტების მშენებლობის პროექტების შემუშავება უნდა ხორციელდებოდეს მანქანებისა და მოწყობილობის დამტკიცებული ტექნიკური პროექტების საფუძველზე.

4. ობიექტებს დაპროექტებასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული მოქმედი ნორმებისა და წესების სრულყოფის მიზნით დაევალოთ გადასინჯონ და დამტკიცონ 1985 წელს:

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით — ტექნოლოგიური დაპროექტების საერთო-საკავშირო და საუწყებო ნორმები;

სსრ კავშირის სახმშენმა — სამშენებლო დაპროექტებისა და სამუშაოთა წარმოების ნორმატიული დოკუმენტები,

სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებმა სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით — ნორმები და წესები, რომლებშიც შრომის საწარმოო პირობების გაუმჯობესებასთან და სამუშაოთა უსაფრთხოების ამაღლებასთან ერთად გაითვალისწინონ ყოველგვარ ზედმეტბაათა აღმოფხვრა, მიწის ფონდისადმი მზრუნველური დამოკიდებულება, შენობათა მოცულობისა და ფართობის რაც შეიძლება სრული განოყენება ამის საფუძველზე ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხარჯების შემცირების მიზნით.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებმა ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით ზემოაღნიშნულ სამუშაოთა შესრულების გრაფიკები.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებთან ერთად მოახსენონ ამ მუშაობის შედეგების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის პირველ კვარტალში.

5. დაწესდეს, რომ ვადაწყვეტილებანი ობიექტების მშენებლობის დაპროექტების შესახებ მიიღება:

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმშენის მიერ განსაზღვრული მსხვილი და რთული საწარმოებისა და ნაგებობების (ხოლო საპირობების კვალობაზე — აგრეთვე სხვა ობიექტების) მიხედვით — მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა საფუძველზე;

სხვა საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მიხედვით — მათი მშენებლობის სამეურნეო აუცილებლობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის დამსაბუთებელ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა საფუძველზე;

უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მიხედვით — მთავრობის ვადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებებსა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებებში განისაზღვრება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

შემუშავების შემდეგ წესი: ორ სტადიად — პროექტი და სამუშაო დოკუმენტაცია ან ერთ სტადიად — სამუშაო პროექტი.

ობიექტების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა შემუშავება ხორციელდება შესაბამისი დარგის კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ხოლო უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობისა — საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმშენმა სამი თვის ვადაში განსაზღვრონ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა შემუშავებისა და დამტკიცების წესი.

6. სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ მშენებლობის ორგანიზაციის სრულყოფასა და სამეურნეო ანგარიშის განვითარებაში პროექტების როლის შემდგომი ამაღლება. ამ მიზნით:

დააწესონ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ობიექტების მშენებლობის ნორმატიული შრომატევადობა. სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1985 წელს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტები;

გაითვალისწინონ მსხვილ საწარმოთა და ნაგებობათა პროექტებში ასამუშავებელი კომპლექსების გამოყოფა (საჭირო საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დაინშნულების ობიექტების ჩათვლით), ამასთან განუსაზღვრონ მათ კაპიტალურ დაბანდებათა და საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტები, მოთხოვნილება მოწყობილობაზე, მასალებსა და შრომითს რესურსებზე;

უზრუნველყონ მშენებლობის ორგანიზაციის პროექტების შემუშავებისას (რომლებიც ყველა მისი ნონაწილისათვის სავალდებულო უნდა იყოს) ტექნოლოგიური კვანძებისა და საქმშაოთა ეტაპების გამოყოფა, შენობა-ნაგებობათა მშენებლობის მონაშადებულ და ძირითად სამუშაოთა შესრულების რიგითობის, მშენებლობის, მოწყობილობისა და კონსტრუქციების მიწოდების კალენდარული ვადების, მასალებზე, შრომითს რესურსებსა და მექანიზაციის საშუალებებზე მოთხოვნილების განსაზღვრა;

გაითვალისწინონ სამუშაოთა წარმოების პროექტებში ცალკეული შენობა-ნაგებობების მიხედვით საქმშაოთა შესრულების გრაფიკები, გადაწყვეტილებანი ბრივალული იჯარის გამოყენების შესახებ, აგრეთვე მშენებლობის ხარისხისადმი კონტროლის განხორციელების ღონისძიებანი.

სავალდებულოდ ჩაითვალოს მშენებლობის განმხორციელებელი სამინისტროებისა და უწყებების საპროექტო ორგანიზაციათა მონაწილეობა ზემოაღნიშნული პროექტებას შემუშავებაში.

დაეკისროთ მშენებლობის მთავარი ტერიტორიული სამმართველოებისა და საშენებლო-სამონტაჟო ტრესტების ხელმძღვანელებს პერსონალური პასუხისმგებლობა სამუშაოთა წარმოების პროექტების დროულად შემუშავებისა და ამ პროექტებით მშენებლობათა უზრუნველყოფისათვის. ნება დაერთოთ

შემუშაონ მსხვილი და რთული ობიექტების სამუშაოთა წარმოების პროექტები სპროექტო-საძიებო სამუშაოთა სახსრების ხარჯზე.

სსრ კავშირის მოიჯარე სამინისტროებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შექმნან საჭიროების კვალობაზე მშენებლობის მთავარი ტერიტორიული სამმართველების, რესპუბლიკური მშენებლობის სამინისტროებისა და მსხვილი სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტების შემადგენლობაში ქვედანაყოფები შესათანხმებელი სპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განსახილველად, აგრეთვე სამშენებლო გადაწყვეტილებათა სრულყოფისა და კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე მშენებლობის ორგანიზაციის შესახებ წინადადებათა შესამუშავებლად. ქვედანაყოფები იქმნება სამინისტროებისათვის დაწესებული მუშაკთა სერთო რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

7. დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს, სამინისტროებსა და უწყებებს, სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტებს:

გადასინჯონ 1985 წელს მოქმედი ტიპობრივი პროექტების ნუსხა და ტიპობრივ სამშენებლო კონსტრუქციასა და ნაკეთობათა კატალოგები, ამასთან ამოიღონ იქიდან მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების შეუსაბამო პროექტები, კონსტრუქციები და ნაკეთობანი;

უზრუნველყონ საბინაო-სამოქალაქო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ეკონომიკური ზონალური ტიპობრივი პროექტების შემუშავება ადვილობრივი პირობების გათვალისწინებით;

შემუშაონ ტიპობრივი პროექტები, როგორც წესი, საკონკურსო საფუძველზე და დაამტკიცონ ისინი დადგენილი წესით ექსპერტიზის და სამინისტროს, უწყების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს ან კოლეგიის მიერ განხილვის შემდეგ.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განახორციელონ, მოყოლებული 1986 წლიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე სსრ კავშირის სახმშენის მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით:

საბინაო-სამოქალაქო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ზონალური ტიპობრივი პროექტების, აგრეთვე საწარმოო დანიშნულების ძირითადი და დამხმარე ობიექტების დარგობრივი ტიპობრივი პროექტების შემუშავება;

მშენებლობის საუწყებო და რესპუბლიკური პრეისკურანტებისა და გამსხვილებული სახარჯთაღრიცხვო ნორმატივების შედგენა;

დარგობრივ პროგრამულ საშუალებათა შემუშავება გამოთვლითი ტექნიკისათვის, ავტომატიზებული დაპროექტების სისტემებისა და ინფორმაციის დამუშავების სისტემებისათვის;

მთავარ საძიებო ორგანიზაციათა ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საეგემო კომიტეტმა გათვალისწინოს სსრ-კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებში ამ სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრების ლიმიტები.

8. მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა შესრულებით საპროექტო და საძიებო ორგანიზაციების დაინტერესების გაძლიერების მიზნით ნება დაერთოთ სამინისტროებსა და უწყებებს დააწესონ დანამატი ამ სამუშაოთა ღირებულების 50 პროცენტამდე ოდენობით და შესაბამისად გაადიდონ ანარიცხები ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში და აღნიშნული ორგანიზაციების მუშაკთა პრემიების ოდენობა.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ, რომ პირველ რიგში გამოუყონ საწარმოებს, რომლებშიც გათვალისწინებულია რეკონსტრუქცია ან ტექნიკური კვლავაღჭურვა, საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ლიმიტები, აგრეთვე შეიტანონ აღნიშნული სამუშაოები საპროექტო ორგანიზაციათა გეგმებში.

9. საჭიროდ ჩაითვალოს ამალდეს პროექტების მთავარ ინჟინერთა და მთავარ არქიტექტორთა როლი, რომლებიც უნდა აგებდნენ პასუხს მშენებარე საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების ტექნიკურ-ეკონომიკური დონისა და არქიტექტურული გადაწყვეტისათვის, პროექტების ხარისხისა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სწორი განსაზღვრისათვის, აგრეთვე საწარმოების მიერ საპროექტო მაჩვენებლების დაწესებულ ვადებში მიღწევისათვის.

დაწესდეს, რომ პროექტის მთავარი ინჟინერი (მთავარი არქიტექტორი) უზრუნველყოფს პროექტის შემმუშავეებელთა შემადგენლობის ფორმირებას, მათ შორის დავალებათა განაწილებას პროექტის განაყოფებისა და ნაწილების მიხედვით და სამუშაოთა მოცულობის განაწილებას ხელფასის შესაბამისი ცონდით. აკონტროლებს მიღებულ საპროექტო გადაწყვეტილებათა ტექნიკურ და ეკონომიკურ დონეს და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების ვადებს.

უფლება მიეცეთ საპროექტო ორგანიზაციებს დაიტოვონ თავიანთ განკარგულებაში რეზერვი კონკრეტული პროექტების მიხედვით სამუშაოთა წლიური მოცულობის 5 პროცენტამდე ოდენობით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროექტის მთავარი ინჟინრის (მთავარი არქიტექტორის) გადაწყვეტილებით წლის განმავლობაში.

პროექტის მთავარ ინჟინერს (მთავარ არქიტექტორს) ნიშნავენ ყველაზე კვალიფიციურ სპეციალისტთაგან მსხვილ და რთულ ობიექტებზე — სამინისტროები და უწყებები, ხოლო სხვა ობიექტებზე — საპროექტო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

ნება დაერთოთ გენერალურ დამპროექტებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შეიტანონ შტატებში საჭიროების კვალობაზე უმნიშვნელოვანესი ობიექტების დაპროექტებისას პროექტის მთავარი ინჟინრის მოადგილის თანამდებობა.



უფლება მიეცეთ სამინისტროებსა და უწყებებს ობიექტის დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დანიშნონ საჭირო შემთხვევებში მომავალ საწარმოთა (წარმოებათა) ხელმძღვანელები საპროექტო ობიექტებზე ტექნიკური საკითხების გადაწყვეტისადმი კონტროლის განმხორციელებელ პირებად.

10. სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ დამპროექტებელთა მატერიალური სტიმულირების შემდგომი სრულყოფა იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მისი ზემოქმედება თავიანთი მუშაობის შედეგების გაუმჯობესებით, საპროექტო და საძიებო ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების დაინტერესების ამაღლებაზე, ამ ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების დაწესებული ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით.

დაწესდეს, რომ საპროექტო და საძიებო ორგანიზაციათა მუშაკებს პრემიები უნდა მიეცეთ უწინარეს ყოვლისა შესამუშავებელი პროექტების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური დონის მიღწევისა და მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირებისათვის.

განხორციელდეს, მოყოლებული 1986 წლიდან, დამატებითი ანარიცხები საპროექტო და საძიებო ორგანიზაციათა მატერიალური წახალისების ფონდში მისი შექმნის მოქმედ წესთან ერთად:

ობიექტების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (განგარიშების) და პროექტების შედგენის სახსრების ხარჯზე მათი შემუშავების ღირებულების 15 პროცენტამდე ოდენობით აღნიშნული სახსრებიდან ანარიცხების კონკრეტულ ოდენობას განსაზღვრავს შემკვეთი შესრულებულ საპროექტო გადაწყვეტილებათა ხარისხისა და ეკონომიკური ეფექტიანობის შესაბამისად;

დამტკიცებულ პროექტში ობიექტის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან შედარებით იმ ეკონომიის ხარჯზე, რაც მიღწეულია სამუშაო დოკუმენტაციის შემუშავებისას, შემკვეთი აღნიშნული მიზნებისათვის გადარიცხავს მიღებული ეკონომიის 20 პროცენტამდე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა დააზუსტონ და დაამტკიცონ 1985 წლის მეორე კვარტალში საპროექტო და საძიებო ორგანიზაციათა ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნისა და გამოყენების წესი.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმშენმა საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით გადასინჯონ ზემოაღნიშნული წესის გათვალისწინებით და დაამტკიცონ 1985 წლის მესამე კვარტალში ტიპობრივი დებულება საპროექტო და საძიებო ორგანიზაციების მუშაკთა პრემირების შესახებ.

11. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საპროექტო და საძიებო ორგანიზაციების დაინტერესება მათთვის დაწესებული სამუშაოთა მოცულობის შესრულებით მუშაკთა ნაკლები რიცხოვნობით (ხუთწლედისათვის სტაბილური ნორმატივების მიხედვით გამოანგარიშებული ხელფასის ფონდით), უფლება მიე-



ცეთ ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით:

ა) დაუწესონ ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე საპროექტო და საძიებო სამუშაოებით დასაქმებულ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს (მათ შორის პროექტების მთავარ ინჟინრებსა და მთავარ არქიტექტორებს) ხელფასის დანამატები 50 პროცენტამდე ოდენობით ყველაზე რთული და პასუხსაგები სამუშაოები შესრულებისათვის მუშაკთა პირადი წვლილის გათვალისწინებით. ხოლო სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს — თანამდებობრივი სარგოს 30 პროცენტამდე მაღალი კვალიფიკაციისათვის, საპროექტო და საძიებო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ხელფასის დანამატები შეიძლება დაუწესდეთ ზემდგომი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით;

მისცენ ზემდგომ ორგანიზაციასთან შეუთანხმებლად დანამატები პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებისათვის მუშაკებს, რომლებიც პერსონალის სხვადასხვა კატეგორიას მიეკუთვნებიან. ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე.

ზემოაღნიშნული დანამატები შემცირდება ან გაუქმდება მთლიანად მუშაობის მაჩვენებლების გაუარესების შემთხვევაში.

დაევალოთ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით ზემოაღნიშნული დანამატების გამოყენების წესი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 11 მარტის № 441 განკარგულების შესაბამისად საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით;

ბ) დაუწესოს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის ფონდის ფარგლებში ამ მუშაკებს თანამდებობრივი სარგოები ისე, რომ საველდებულო არაა დაიცვან თანამდებობრივი სარგოების სქემების მიხედვით საშუალო სარგოები და ცალკეული კატეგორიების მუშაკთა რიცხოვნობის თანაფარდობა;

გ) შემოიღონ საწარმოო ქვედანაყოფების მუშაკთათვის შრომის ორგანიზაციისა და მუშაობის საბოლოო შედეგების მიხედვით მისი ანაზღაურების კოლექტიური (ბრიგადული) ფორმები.

12. გავრცელდეს „სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 46 დადგენილებით განსაზღვრული საცხოვრებელი სადგომების დაქირაავების ხარჯების ანაზღაურების წესი და ნორმები საძიებო ორგანიზაციათა და საპროექტო ინსტიტუტების საძიებო ქვედანაყოფთა მუშაკებზე საძიებო სამუშაოთა საწარმოებლად საძიებო ექსპედიციების (პარტიების, რაზმების) შემადგენლობაში მათი გაგზავნის დროს.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად 1985 წელს დაახუსტოს საპროექტო და საძიებო ორგანიზაციებში სამუშაოდ მიწვეულ მაღალკვალიფიციურ სპეცია-

ლისტ პენსიონერთა შრომის ანაზღაურების წესი და პირობები და წარმოუდგინოს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

13. სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სწორი განსაზღვრა და მისი ზუსტი დაცვა საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაგეგმვისა და წარმოების პროცესში.

ამ მიზნით დაწესდეს პერსონალური პასუხისმგებლობა:

საპროექტო ორგანიზაციათა შესაბამისი მუშაკებისა — მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების, ასამუშავებელი კომპლექსების შემადგენლობისა და სამუშაოთა შესრულების, ასამუშავებელი კომპლექსების შემადგენსაპროექტო ორგანიზაციათა მიზეზით მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადიდებისას ჩამოერთვათ მთლიანად ან ნაწილობრივ პრემიები პროექტების მთავარ ინჟინრებს (მთავარ არქიტექტორებს), ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და სხვა დამნაშავე პირებს;

სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკებისა — კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვის, საიჯარო ხელშეკრულებათა დადებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დროს ობიექტების მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმატიული ვადების დაცვისათვის.

მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადიდების შემთხვევაში სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განიხილონ ეს საკითხები, მათ შორის კოლეგიების სხდომებზეც, და მიიღონ მკაცრი ზომები დამნაშავე პირთა მიმართ.

14. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გააძლიერონ საპროექტო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი საავტორო ზედამხედველობის განხორციელებასათვის. უფლება მიეცეთ საპროექტო ორგანიზაციებს გასცენ შემკვეთისა და მოიჯარის ორგანიზაციებისათვის სავალდებულო მითითებანი იმ სამუშაოთა წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომლებიც პროექტისა და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დარღვევით სრულდება.

დაწესდეს, რომ საპროექტო ორგანიზაციათა სამიეღინებო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მშენებლობისადმი საავტორო ზედამხედველობის განხორციელებასთან, სარეკონსტრუქციო და ტექნიკურად კვლავალსაქურე ობიექტების გამოკვლევასთან, ობიექტების მშენებლობაში ტექნიკური დახმარების გაწევასთან, არ მიეკუთვნება სამსახურებრივი მივლინებისათვის ლიმიტირებულ ხარჯებს.

15. პროექტების ექსპერტიზის ხარისხის ამაღლების მიზნით დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს:

განამტკიცონ კვალიფიციური კადრებით საპროექტო ქვედანაყოფები, ამასთან დაუქვემდებარონ ისინი, როგორც წესი, მინისტრს, უწყების ხელმძღვანელს ან მათს პირველ მოადგილეებს;

განიხილონ დიდი და რთულ მშენებლობათა პროექტები სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიათა სხდომებზე, აგრეთვე უზრუნველყონ მკაცრი კონტროლით საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული პროექტების ხარისხისადმი;

სისტემატურად განიხილონ პროექტების ექსპერტიზისა და მათი ხარისხისადმი კონტროლის შედეგები და მიიღონ ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სსრ კავშირის სახმშენმა გააძლიეროს კონტროლი სამინისტროებისა და უწყებების მიერ განხორციელებული ექსპერტიზის ხარისხისადმი. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახმშენს მიზილოს შესაბამის ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით პროექტების განსახილველად სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მათ შორის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის სპეციალისტები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტემა გააძრიგლოს სახელმწიფო საექსპერტო კომისიის პასუხისმგებლობა ასაშენებლად დასახული ობიექტების ექსპერტიზის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის დარგებისა და მრეწველობის დარგების განვითარებისა და განლაგების სქემების, ეკონომიკური რაიონებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების და განსაკუთრებით მსხვილ და რთულ საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ექსპერტიზის შედეგების საფუძვლიანობისათვის.

სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების, პროექტების (სამუშაო პროექტების) ექსპერტიზის განხორციელებისას კონტროლი საწარმოო დანიშნულების ობიექტების, საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და გარემოს დაცვის ობიექტების მშენებლობის საკითხთა კომპლექსური გადაწყვეტისადმი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დააჩქარონ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებში საექსპერტო ქვედანაყოფთა შექმნა.

16. სსრ კავშირის სახმშენმა, სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1986 წელს დადგენილი წესით მშენებლობისათვის საპროექტო სამუშაოთა ფასები დასაპროექტებელი ობიექტების ძირითადი მაჩვენებლების (სიმაღაურე სიგრძე ტევადობა, ფართობი და სხვ.) შესაბამისად, რაც გამორიცხავს ფასების დამოკიდებულებას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულებაზე და გაითვალისწინებს პროექტების ვარიანტების დამუშავების,

სამაკეტო დაპროექტების ხარჯებს, ტექნოლოგიურ, მოცულობით-საგეგმარებელ, კონსტრუქციულ და არქიტექტურულ გადაწყვეტილებათა უფრო ღრმად დამუშავების აუცილებლობას. ვაითვალისწინოს ამ ფასებში რენტაბელობის ეკონომიკურად დასაბუთებული დონე.

სსრ კავშირის სახმშენმა შეიმუშაოს 1985 წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით ზემოაღნიშნული ფასების შეცვლის ინდექსები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1985 წლის მესამე კვარტალში სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიხედვით მეთორმეტე ხუთწლედის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ზღვრული დანახარჯების დიფერენცირებული ნორმატივები.

17. სამინისტროებმა და უწყებებმა:

შეიმუშაონ და დაამტკიცონ, მოყოლებული 1986 წლიდან, საპროექტო-საძიებო სამუშაოთა უწყვეტი ორწლიანი თემატიკური გეგმები.

საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციებისათვის საგეგმო დავალებათა დაზავინისას დაიტოვონ რეზერვი სამუშაოთა მოცულობის, ხელფასის ფონდისა და მატერიალური წახალისების ფონდის 5 პროცენტამდე ოდენობით, ამასთან უფლება მიეცეთ გამოიყენონ იგი მთელი დაგეგმილი პერიოდის განმავლობაში.

დაწესდეს, რომ დაგეგმილ ვადაში მშენებლობაში გამოყენებული საპროექტო-სახარჯთალრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების დანახარჯები ანაზღაურდება საკავშირო ბიუჯეტში ახალი მშენებლობის ხაზით — ფინანსური დახმარების გასაწევად სამინისტროთა და უწყებათა რეზერვიდან (სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მშენებლობათა ხაზით — შესაბამისი ბიუჯეტების კარბი შემოსავლის თანხებიდან), მოქმედ საწარმოებში მშენებლობის ხაზით — მათი სამეურნეო საქიანობის შედეგების ანგარიშში.

18. სამინისტროებმა და უწყებებმა თავი მოუყარონ სპეციალიზებულ საპროექტო ორგანიზაციებში მსხვილი და რთული ობიექტების პროექტების შესაბამისი განაყოფების შემუშავებას.

დაეკისროს სსრ კავშირის სახმშენის ნ. პ. მელნიკოვის სახელობის სამშენებლო ლითონკონსტრუქციების ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტს, როგორც მთავარ საპროექტო ორგანიზაციას, პასუხისმგებლობა სამშენებლო ფოლადის კონსტრუქციების დაპროექტებაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის. სსრ კავშირის სახმშენმა დაამტკიცოს სამინისტროთა და უწყებათა საპროექტო ინსტიტუტების მიერ ამ კონსტრუქციების დამუშავების წესი.

19. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ მეთორმეტე ხუთწლედში ღონისძიებანი იმისათვის, რათა გაფართოვდეს მოიჯარე

სამინისტროების საპროექტო ორგანიზაციათა მონაწილეობა ამ სამინისტროების მიერ მშენებარე საწარმოო დანიშნულების ობიექტების პროექტების საერთო-სამშენებლო ნაწილის დამუშავებაში, ამასთან უზრუნველყონ აღნიშნულ ორგანიზაციათა სრული დატვირთვა.

სსრ კავშირის სახმშენმა გადასცეს 1985 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სსრ კავშირის შიშიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, ყაზახეთის სსრ სახმშენს, უზბეკეთის სსრ სახმშენისა და აზერბაიჯანის სსრ სახმშენის გამგებლობაში საპროექტო ორგანიზაციები, № 1 დანართის თანახმად.

20. თავმოყრილ იქნეს საინჟინრო კვლევა-ძიების განხორციელება:

სამინისტროთა და უწყებათა მსხვილ საპროექტო-საძიებო ორგანიზაციებში — ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ობიექტების, მაგისტრალური მილსადენების, სამთომოპოვებითი, მეტალურგიული და ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის საწარმოების, დავდაცვითი და სპეციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის, აგრეთვე ნავთობისა და გაზის მოპოვების სარეწების მოსაწყობად;

ტერიტორიულ საძიებო ორგანიზაციებში — მრეწველობის სასოფლო-სამეურნეო და საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების სხვა დარგების ობიექტების და სამრეწველო კვანძებში მოსათავსებელი ობიექტების მშენებლობისათვის, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების, დაცვითი ზონების პროექტების, ტერიტორიის საინჟინრო დაცვის სქემების შემუშავებისა და სესმური მიკროდარაიონებისათვის.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტთან შეთანხმებით (ხოლო საინჟინრო-გეოდეზიური კვლევა-ძიების ნაწილში — აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით) ნუსხები:

საქვეუწყებო ორგანიზაციებისა, რომლებიც ახორციელებენ კომპლექსურ დაპროექტებას, პროექტების სპეციალური განაყოფების შემუშავებას, საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების დაპროექტებას და მშენებლობის საინჟინრო კვლევა-ძიებას.

საპროექტო-საკონსტრუქტორო კანტორებისა, ბიუროებისა და ორგანიზაციათა და საწარმოთა სხვა ქვედანაყოფებისა, რომლებსაც უფლება აქვთ შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 მარტის № 312 დადგენილების 35-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, აგრეთვე არართულ შენობა-ნაგებობათა ტიპობრივი პროექტების სამშენებლო მოედნებისათვის მისადაგებასთან დაკავშირებული საპროექტო სამუშაოები, იმ ვარაუდით, რომ უცილობლივ დაიცვან დაპროექტების და მშენებლობის მოქმედი ნორმები და წესები.

სსრ კავშირის მშენებანკმა და სსრ კავშირის სახბანკმა არ დააფინანსონ მშენებლობა იმ ორგანიზაციების მიერ ზამოაღნიშნული ნუსხების დამტკიცების შემდეგ შემუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, რომლებიც მათში არ არიან გათვალისწინებული.

21. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სსრ კავშირის სახმშენმა გაათავაზონ პროგრესული მეთოდებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა გამოყენება საპროექტო სამუშაოთა შესრულებისას.

სსრ კავშირის სახმშენმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს, მოყოლებული 1986 წლიდან, გამოთვლითი ტექნიკის დარგთაშორისი პროგრამული საშუალებების, ავტომატიზებული დაპროექტების სისტემებისა და ინფორმაციის დამუშავების სისტემების შექმნისა და დაპროექტებაში გამოყენების ხუთწლიანი და წლიური გეგმები, ხოლო სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით დარგობრივი (საუწყებო) დანიშნულების ზემოაღნიშნულ სამუშაოთა გეგმები.

22. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმმარაგებამ და სამრეწველო სამინისტროებმა გაითვალისწინონ, მოყოლებული 1986 წლიდან, გეგმებში მალალმწარმოებლური მოწყობილობის, გეოფიზიკური და ტოპოგრაფიულ-გეოდენზიური ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტის წარმოებისა და საძიებო ორგანიზაციებისათვის მიწოდების გაფართოება სსრ კავშირის სახმშენის მიერ განსაზღვრული ნომენკლატურის მიხედვით.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სახმშენს შექმნას (საქვეუწყებო ორგანიზაციების მუშაკთა საერთო რიცხოვნობის ფარგლებში) 1986 წელს ქალაქ რიანანში მშენებლობის საინჟინრო კვლევა-ძიების საწარმოო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შემადგენლობაში სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო საინჟინრო კვლევა-ძიების ახალი მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტის საცდელი ნიმუშებისა და მცირე სერიების შესამუშავებლად და დასამზადებლად.

23. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ჩაატარონ 1985 წლის პირველ ნახევარში დაუთავრებელ მშენებლობაში რიცხული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ინვენტარიზაცია და მიიღონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საჭირო გადაწყვეტილებაში მოქვეყნებული და ისეთი დოკუმენტაციის შესახებ, რომელიც დასახული არაა მეთორმეტე ხუთწლეულში გამოსაყენებლად.

24. სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სახბანკმა, სსრ კავშირი მშენებანკმა,



სსრ კავშირის ცენტრალრმა სტატისტიკურმა სამმართველომ და სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჰოს და სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაონ ნორმატიული აქტები, № 2 დანართის თანახმად.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მოამზადონ სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და წარმოუდგინონ 1985 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჰოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჰოს  
თავმჯდომარე **ბ. ტიხონოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჰოს  
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიშკოვი**

**37** „საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისათვის გადგომითი სიტუაციის ნაწარმოებთა უფასო საკონსტრუქციო ეგზამპლარების დაზღავნის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჰოს 1959 წლის 28 აგვისტოს № 677 დადგენილებით დაბჰიციებული სიის დაბატების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჰო ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჰოს 1959 წლის 28 აგვისტოს № 677 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ იმ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების სიას, რომლებსაც ეგზავნებათ ბეჰდვითი სიტუაციის ნაწარმოებთა უფასო საკონსტრუქციო ეგზამპლარები, შემდეგი შინაარსის პუნქტი: „19. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმი (სამეცნიერო-ისტორიული ბიბლიოთეკისათვის) — საქართველოს სსრ რესპუბლიკური გამომცემლობების მიერ გამოშვებული ყველა გამოცემა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში — თითო ცალი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჰოს  
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჰოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე**



## 38 წყალქვეშ სანადირო თოფების რეგისტრაციის, აღრიცხვისა და გამოყენების წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის. წინადადება და დამტკიცდეს წყალქვეშ სანადირო თოფების რეგისტრაციის, აღრიცხვისა და გამოყენების თანდართული წესები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე**

ქ. თბილისი, 1985 წ. 28 ივნისი, № 440



დამტკიცებულია

საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოს  
1985 წლის 28 ივნისის № 440 დად-  
გენილებით

## წესები

წყალქვეშ სანადირო თოფების რეგისტრაციისა, აღრიცხვისა და გამოყენებისა

1. ეს წესები განსაზღვრავენ საქართველოს სსრ მთელი ტერიტორიისათვის წყალქვეშ სანადირო თოფების რეგისტრაციის, აღრიცხვისა და გამოყენების ერთიან წესს.

2. რეგისტრაციისა და აღრიცხვას ექვემდებარება საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა კუთვნილი და მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული როგორც ქარხანაში დამზადებული, ისევე თვითნაკეთი წყალქვეშ სანადირო თოფები.

3. საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები მოვალენი არიან რეგისტრაციაში გაატარონ (ხელახლა გაატარონ) მათი კუთვნილი წყალქვეშ სანადირო თოფები შექმნის მომენტიდან 10 დღე-ღამის განმავლობაში.

4. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თოფები რეგისტრაციაში ტარდება მხოლოდ ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუდმივი ყოფნის ადგილზე. მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული თოფები რეგისტრაციაში უტარდებათ მხოლოდ თვით მფლობელებს მათი მუდმივი ჩაწერის ადგილზე.

5. თოფის რეგისტრაციას ახდენს მისი მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს მისი მინდობილობა, პასპორტის, ნებაყოფლობითი საზოგადოება „მონკავშირის“ წევრის ბილეთისა და წყალქვეშა მსროლელის (მონადირის) მოწმობის წარდგენით.

6. თოფის რეგისტრაციისას მის მფლობელს ეძლევა ბილეთი, რომელიც შეტანილია წყალქვეშ სანადირო თოფის ნომერი.

7. წყალქვეშ სანადირო თოფები რეგისტრაციაში უტარდებათ 18 წლის ასაკს მიღწეულ პირებს.

8. თოფების ხელახლა რეგისტრაცია ხდება მფლობელის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის (საწარმოს სხვა ადგილზე გადატანის), კუთვნილების (მფლობელის) შეცვლის შემთხვევებში; თოფები ხელახლა რეგისტრაციაში უნდა გატარდეს ყოველ სამ წელიწადში.

9. ხელახლა რეგისტრაციისას გაიცემა ახალი ბილეთი.

10. წყალქვეშ სანადირო თოფების რეგისტრაციისა და ხელახლა რეგისტრაციის დროს წარმოებს აღრიცხვა, ყოველ რეგისტრირებულ თოფზე შემოღებულია სარეგისტრაციო ბარათი.

11. წყალქვეშ სანადირო თოფი უნდა ინახებოდეს მფლობელის მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში, მაგრად, საიმედოდ ჩაკეტილ კარაღებში ან სამრეწ-

ველო საწარმოთა მიერ დამზადებულ ლითონის ყუთებში. აღნიშნული იარაღის გადატანა შეიძლება მხოლოდ შალითებით.

12. წყალქვეშ მონადირემ უნდა იცოდეს და ზუსტად დაიცვას მოცემული რაიონისათვის დადგენილი სსრ კავშირის წყალსატევებში თევზჭერის წესები, მუდამ უნდა აღმოუჩინოს ყოველმხრივი დახმარება თევზდაცვის ორგანოებს თევზჭერის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

13. წყალქვეშ ნადირობა დასაშვებია ადგილებში, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეთანხმებულია თევზდაცვის ინსპექციასთან ბუნების დაცვის უბნებზე.

14. წყალქვეშ ნადირობისათვის გამოსაყენებლად არ დაიშვება ცეცხლსასროლი თოფები, ასაფეთქებელი, მომწამვლელი ნივთიერებანი და ელექტროდენი.

15. აკრძალულია წყალქვეშ სანადირო თოფის სროლა წყალში წყლის გარედან (ნაპირიდან, ნავიდან და ა. შ.).

16. აკრძალულია წერთნა-ვარჯიშის ჩატარება კაშხალებთან და ხიდებთან ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის წესების შესაბამისად, აგრეთვე პლაჟებს, რაიონში და სხვა, ბანაობისათვის ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.

17. აკრძალულია თევზჭერის წესების შესაბამისად ძვირფასი ჯიშების თევზებზე ნადირობა.

18. ამ წესების დამრღვევ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად.

# 39 საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე**

ქ. თბილისი, 1985 წ. 28 ივნისი, № 441.

დამტკიცებულია  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1985 წლის 28 ივნისის № 441 დადგე-  
ნილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოე-  
ბის კომისიების შესახებ

### 1. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიების ორგანიზაციის წესი და მათი ამოცანები

1. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიები იქმნება რესპუბლიკის  
ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან.

2. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საქალაქო და რაიონული კომისი-  
ების შემადგენლობას ამტკიცებენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების  
აღმასკომები.

3. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიები თავიანთ საქმიანობაში  
ანგარიშვალდებული არიან სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული)  
საბჭოების აღმასკომების წინაშე.

4. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიები იქმნება შემდეგი შემა-  
დგენლობით: კომისიის თავმჯდომარე (საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკო-  
მის თავმჯდომარის მოადგილე), თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევ-  
რები.

კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა საბ-  
ჭოს აღმასკომი, რომელთანაც შექმნილია კომისია, სატრანსპორტო მუშაობის  
მოცულობის შესაბამისად.

კომისიის შემადგენლობაში შედიან სატრანსპორტო, საგზაო და საპროექ-  
ტო ორგანიზაციათა, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციათა,  
შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების ორგანოთა,  
საქართველოს სსრ ავტომობილთმშენებარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების  
საბჭოების, საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი  
ნებაყოფლობითი საზოგადოების ხელმძღვანელები, აგრეთვე პარტიის რაიკო-  
მების, კომკავშირის რაიკომების, პრესის ადგილობრივი ორგანოებისა და კომ-  
კავშირული კომიტეტების წარმომადგენლები.

5. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიების ძირითადი ამოცანები  
ის არის, რომ კოორდინაცია გაუწიონ სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგა-  
დობრივი ორგანიზაციების საქმიანობას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების  
უზრუნველსაყოფად, აგრეთვე შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი  
საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

6. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიების საქმიანობა ხორციელდება საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობისათვის მიიწვევიან პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების, კომკავშირის კომიტეტების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

7. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიები მათს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ურთიერთმოქმედებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივ კომისიებთან, აგრეთვე ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებთან და ადმინისტრაციულ კომისიებთან, რომლებიც შექმნილია სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან.

8. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიები იღებენ დადგენილებებს მათს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, რომლებიც სავალდებულოა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირები მოვალენი არიან ორი კვირის ვადაში შეატყობინონ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიებს მისი დადგენილებების შესასრულებლად მიღებული ზომების შესახებ.

## 11. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიების უფლება-მოვალეობანი

9. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიები:

ა) კოორდინაციას უწევენ საავტომობილო ტრანსპორტის, საავტომობილო გზების მშენებლობისა და ექსპლუატაციის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის ორგანოთა, სხვა სახელმწიფო ორგანოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებასთან და ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, უზრუნველყოფენ ამ საკითხების კომპლექსურ გადაწყვეტას ქალაქის ან რაიონის ტერიტორიაზე;

ბ) შეიმუშავენ და ახორციელებენ როგორც უშუალოდ, ისევე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების მეშვეობით ღონისძიებებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, საავტომობილო ტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის უაღარიო მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად;

გ) უზრუნველყოფენ საჭირო აღმზრდელობით ღონისძიებათა განხორციელებას საავტომობილო ტრანსპორტის, საქალაქო ელექტროტრანსპორტის მუ-



შეათა, სატრანსპორტო საშუალებების მომსახურე სხვა მუშაკთა და სატრანსპორტო საშუალებების ინდივიდუალურ მფლობელთა შორის, ამასთან ფართოდ აბამენ აღნიშნულ პირებთან მუშაობაში მშრომელთა კოლექტივებს, შრომისა და ომის ვეტერანებს, ნებაყოფლობითი რაზმეულების, საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებს, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს;

დ) კონტროლს უწევენ სატრანსპორტო, საგზაო, საპროექტო და სხვა ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ იმ მოვალეობათა შესრულებას, რაც მათ ეკისრებათ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. განაზოგადებენ და აგრძელებენ მათი მუშაობის დადებითს გამოცდილებას;

ე) პრობაგანდას უწევენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას, რისთვისაც აქტიურად იყენებენ პრესას, რადიოს, ტელევიზიასა და ლექციურ პრობაგანდას. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებათა ლექციური პრობაგანდა ხორციელდება საზოგადოება „ცოდნის“ ადგილობრივ ორგანიზაციებთან მკიდრო კონტაქტით;

ვ) უზრუნველყოფენ საავტომობილო შემთხვევების ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების შესახებ ხარისხოვანი მასალის მომზადებას პარტიის შესაბამისი საქალაქო და რაიონული კომიტეტების სხდომებზე ოპერატიული განხილვისათვის, და თითოეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო, რასაც მოჰყვება ადამიანთა დაღუპვა ან ტრავმირება;

ზ) პერსპექტიული და წლიური გეგმების შესაბამისად ადგენენ და წინასწარ განიხილავენ ყოველი კვარტალის სამუშაო გეგმებს;

თ) განიხილავენ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის, ქვეითად მოსიარულეთა დისციპლინის განმტკიცებისათვის, ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის თავიდან აცილებისათვის მუშაობის შედეგებს და სახავენ შესაბამის ღონისძიებებს;

ი) შეიმუშავენ წვრილი ავტოსატრანსპორტო საწარმოების (ავტომოტონეობების) გამსხვილების ღონისძიებებს და წარუდგენენ დასაბუთებულ წინადადებებს ზემდგომ ორგანოებს;

კ) განიხილავენ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევის შემთხვევებს. (რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონოდ გატანის მცდელობა, სამუშაოს დამთავრების შემდეგ და ღამით ავტომობილების დაყენება გარეუბნის გარეთ, ავტომობილების ექსპლუატაცია დაუპლომბავი ან უწყესივრო სპიდომეტრებით და ა. შ.) და იღებენ კონკრეტულ ზომებს მათ აღმოსაფხვრელად;

ლ) შინაგან საქმეთა, სახალხო კონტროლისა და პროკურატურის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ახორციელებენ შემოწმებას და შეიმუშავენ ღონისძიებებს ტვირთის გადაზიდვის დროს წამატებათა აღმოსაფხვრელად, საწვავ-საზეთო მასალების დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად და დისციპლინის განსამტკიცებლად ავტოსატრანსპორტო და ნავთობგამსაღებელ საწარმოებში;



მ) მუდმივ კონტროლს უწევენ მძლოლთა სამედიცინო შემოწმების, რეინის წინ და რეისის შემდეგ მათი სამედიცინო გასინჯვის შესახებ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმ მძლოლთა ყოველდღიურ სამედიცინო გასინჯვას, რომელთაც გადაჰყავთ ადამიანები;

ნ) ინახავენ მონაცემებს ქალაქის ან რაიონის სატრანსპორტო სისტემის სატრანსპორტო-საექსპლუატაციო და ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების შესახებ. პერიოდულად ანახლებენ ამ მონაცემებს;

ო) დახმარებას უწევენ ამ მუშაობაში საწარმოთა და ორგანიზაციათა საგზაო მოძრაობის კომისიებს, საავტომობილო ტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის საწარმოებში მოძრაობის უსაფრთხოებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის კომისიებს, აგრეთვე ავტომობილომთავართა ნებაყოფლობითი საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებს;

პ) უზრუნველყოფენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის, საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის რესპუბლიკური კომისიის და ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცებისა და სახანძრო უსაფრთხოების გაძლიერების რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

10. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიებს უფლება აქვთ:

ა) შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს, აგრეთვე განახორციელონ სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა სატრანსპორტო საშუალებების მომსახურე პირთა შორის და მოისმინონ თავიანთ სხდომებზე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე სახელმწიფო ავტონსპექციის ხელმძღვანელთა რეგულაციები ზემოაღნიშნულ საკითხებზე მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ;

ბ) მიიზიდონ საზოგადოებრიობა საავტომობილო ტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მუშაკთა, სატრანსპორტო საშუალებების მომსახურე სხვა მუშაკთა და სატრანსპორტო საშუალებების ინდივიდუალური მფლობელთა შორის სათანადო აღმზრდელობით ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად;

გ) შეიტანონ შესაბამის ორგანოებში წარდგინებანი მათი საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იმ ხელმძღვანელთა მიმართ მომთხოვნელობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც არადაამაკმაყოფილებლად ასრულებენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს. წარდგინებათა განხილვის შედეგების შესახებ ზემოაღნიშნული ორგანოები მოვალენი არიან შეატყობინონ კომისიას ერთი თვის ვადაში;

დ) შეიტანონ სახალხო დემუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომების განსახილველად წინადადებანი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებების ღონისძიებათა შესახებ.

### III. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიების მუშაობის ორგანიზაცია

11. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის სხდომების რეგულარულ (ორ კვირაში ერთხელ) მოწვევას, ვანსაზღვრავს მორიგ სხდომაზე განსახილველ საკითხთა წრეს, ამზადებს კომისიის სამუშაო გეგმებს და მისი საქმიანობის ანგარიშებს სხდომებზე განსახილველად. სხდომებს შორის პერიოდში აძლევს დავალებებს კომისიის წევრებს და ამოწმებს მათს შესრულებას.

12. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება შემადგენლობის ნახევარი მაინც.

კომისიის გადაწყვეტილებანი მიიღება სხდომაში მონაწილე კომისიის წევრთა ხმის უმრავლესობით, ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი.

13. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიის სხდომაზე მიიწვევიან განსახილველ საკითხთა ხასიათის მიხედვით საავტომობილო ტრანსპორტის, საავტომობილო გზების მშენებლობისა და ექსპლუატაციის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის ორგანოთა და სხვა სახელმწიფო ორგანოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები, აგრეთვე ავტომობილების ინდივიდუალური მფლობელები.

14. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიებთან შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფები (მძლოლთა შორის აღმზრდელობითი მუშაობისა, საგზაო მოძრაობის წესების პროპაგანდისა, საგზაო პირობების გაუმჯობესებისა, მძლოლთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისა, საგზაო მოძრაობის ორგანიზაციისა და სხვ.).

15. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომში, რომელთანაც იგი არსებობს.

აღმასკომის გადაწყვეტილება საჩივრის გამო საბოლოოა.

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА  
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 1985 წელი

---

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

---

ხელმოწერილია დასაბუქდად 27/XI-85 წ. ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>.  
საბუქდი თაბახი 7, სააღრიცხვო თაბახი 7.

6196/53



«USS № 0182—4241».